თამარ მახარობლიძე

ქართული ქესტური ენის გმნის მორფოლოგია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2019

თამარ მახარობლიძე

ქართული ქესტური ენის გმნის მორფოლოგია

წიგნზე მუშაობდნენ ყრუთა თემის წევრები - თამარ ჯიქიძე, ნათია და ლამარა ჯაფოშვილები.

კორექტორი - ს. მარგველაშვილი



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № 216702). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № 216702). All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

© თამარ მახარობლიძე, 2019

ISBN 978-9941-18-331-7

დაიბეჭდა სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში
მარჯანიშვილის 5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი 4

ჟესტურ ენათა მორფოლოგიის შესახებ 7

ქართული ჟესტური ენის ზმნა
(ზოგადი დახასიათება) 13

ზმნური აქტანტები 29

პირთა კომბინაცია ქართული
ჟესტური ენის ზმნაში 86

ვერსიისა და კაუზაციის კატეგორიები
ქართულ ჟესტურ ენაში 97

დრო, ასპექტი და კილო ქართულ ჟესტურ ენაში 119

მოდალობა ქართულში 149

ზმნური ნეგაცია ქართულ ჟესტურ ენაში 169

The category of version in GESSL 189

Verbal Temporal Categories in GESL 207

Modality in Georgian 215

ქართული ჟესტური ენის კვლევების
ძირითადი პუბლიკაციები 244

შესავალი

ქართული ჟესტური ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი მოცემულობების ენა და ამით ის იმსახურებს მეცნიერთა ინტერესს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში იყო ერთიანი ჟესტური ენა ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეროვნების ყრუთათვის. ცხადია, საბჭოთა მთავრობა არ ზრუნავდა ცალკეულ რესპუბლიკებში ნაციონალური ჟესტური ენების განვითარებაზე. „საბჭოთა ჟესტური ენა“, ბუნებრივია, ეყრდნობოდა რუსულ ჟესტურ ენას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობით არის ფრანგული ჟესტური ენიდან და ამავდროულად ყოველთვის განიცდიდა სამეტყველო რუსულის გავლენას. საბჭოთა პერიოდის მოცემულ ვითარებაში, რა თქმა უნდა, დიდი იყო რუსული ჟესტური ენის გავლენა ქართულ ჟესტურ ენაზე და ეს გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ამ ენის ლექსიკაზე. ამის მიუხედავად, ქართული ჟესტური ენის გრამატიკული სტრუქტურა გარკვეულწილად მაინც ვითარდებოდა დამოუკიდებლად და დღეს მას გააჩნია რუსულისგან დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა. რასაკვირველია, ქართულ ჟესტურ ენაში არის ჟესტური ენებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ენობრივი მოვლენები, ასევე გვაქვს რუსული ჟესტური ენიდან შემოტანილი გრამატიკული მოვლენებიც და ამის პარალელურად ქართულ ჟესტურ ენას ახასიათებს ერთობ ორიგინალური ლინგვისტური მიდგომა რიგი ენობრივი კატეგორიებისადმი.

აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ქართული ჟესტური ენისადმი არაპროფესიული დამოკიდებულება და ფსევდოაკადემიური მოღვაწეობა დიდ საფრთხეს უქმნის ამ ენას. როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრე, ეს არის ბუნებრივი ენა (ქართული ჟესტური ენა – GESL – Georgian Sign Language) და არაჯანსაღი, არაპროფესიული ჟესტშემოქმედებითი პროცესი და ხელოვნური გრამატიკალიზაცია ამ ენას გადააქცევს ქართული სამეტყველო ენის ჟესტურ იმიტირებულ სისტემად (Signed Georgian). ასეთი ენა კი უკვე მოკლებული იქნება ყოველგვარ სამეცნიერო ინტერესს.

წინამდებარე მონოგრაფია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ მას აქვს პრაქტიკული ღირებულებაც – კერძოდ, ეს წიგნი, დიდი ალბათობით, საინტერესო და ღირებული უნდა იყოს ყრუთა განათლების პროცესისათვის საქართველოში.

წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგიის საკითხებს. ნაშრომში მოცემულია ქართული ჟესტური ზმნის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ანალიზი. წიგნში განხილულია შემდეგი თემები: ჟესტურ ენათა მორფოლოგია – ზოგადი ნაწილი; ქართული ჟესტური ენის ზმნის ზოგადი დახასიათება; ზმნური აქტანტები, ზმნის პირთა კომბინაციის საკითხი; ვერსიისა და კაუზაციის კატეგორიები ქართულ ჟესტურ ენაში; დრო, კილო და ასპექტი; მოდალობა და ზმნური უარყოფა ქართულ ჟესტურ ენაში.

❖

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ამსტერდამელ კოლეგას, ამ პროექტის კონსულტანტს – როლანდ პფაუს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. აქვე უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყრუთა თემის წევრებს ნათია და ლეკე ჯაფოშვილებს, ასევე თარჯიმანსა და პედაგოგს თამარ ჯიქიძეს ამ წიგნის შექმნის პროცესში მონაწილეობისათვის.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 216702 „ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია“. მე მინდა, რომ განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნო ამ ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერის შესახებ.

ჟესტურ ენათა მორფოლოგიის შესახებ

დღეისათვის აღიარებული მოცემულობაა, რომ ჟესტურ ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით. უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ჟესტურ ენებში ძირითადად გვაქვს არა აფიქსური მორფოლოგია, არამედ თანადროული ანუ სინქრონული მოცემულობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჟესტი თავისი კინეტიკით ერთდროულად გადმოსცემს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას და განსხვავებით სამეტყველო ენებისგან, ის არ მოიცავს თანმიმდევრულ აფიქსებს. თუმცა ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჟესტურ ენებში სინქრონულ მორფოლოგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში ასევე მოცემული გვაქვს რიგი გრამატიკული კატეგორიების აფიქსური წარმოებაც. უკანასკნელ პერიოდში ამ მოსაზრებას გაცილებით ბევრი მომხრე გამოუჩნდა. მკვლევარებმა ასევე შენიშნეს, რომ ჟესტური ენები ახლადწარმოქმნილი კრეოლური ენების ბევრ მახასიათებელს იზიარებდნენ, თუმცა ჟესტური ენები კრეოლური ენებისგან მნიშვნელოვნადაც განსხვავდებოდნენ ერთი თვისებით – კერძოდ, თავისი რთული სინქრონული მორფოლოგიით.


ჟესტური ენების მორფოლოგიისათვის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს შემდგომში: როგორც ასეთი – მორფემა ამ ენებში არის ჟესტით წარმოდგენილი, რამდენადაც ეს ერთად-

ერთი შესაძლებელი ფორმაა, თუმცა ზოგ ჟესტურ ენაში გვაქვს გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მიმიკაც. ჟესტით წარმოდგენილი მორფემა რომ მორფემად იქნეს გააზრებული, საჭიროა რიგი პარამეტრების გათვალისწინება. ერთერთი დასტური იმისა, რომ ეს ფორმა აფიქსია და არა თავისუფალი სიტყვა, არის მისი მუდმივი ადგილი. ასეთი ჟესტი ყოველთვის თან მოჰყვება (ან წინ უძღვის) სახელის ფუძეს. ზოგ ენაში სიტყვათა რიგი თავისუფალია და ზმნასთან დაკავშირებული თავისუფალი სიტყვა-ჟესტი შეიძლება ზმნის წინაც იყოს და შემდეგაც, მაგრამ არსებობს ფიქსირებული მორფემული პოზიცია. აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმისათვის, რომ ჟესტი იქნეს მიჩნეული მორფოლოგიურ აფიქსად, არის მისი გრამატიკალიზაციის პროცესი, რაც უმეტესწილად აისახება ჟესტის დელექსიკალიზაციითა და ეროზიით.

ჟესტურ ენებში მეტყველების ნაწილების გარჩევა განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კლასიფიკაციისგან. ჟესტურ ენაში არსებითი სახელი, შესაძლოა, გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი ნიშნით და ამდენად, იგი ზედსართავს უფრო მოაგავდეს. ასევე, შესაძლოა, არსებითი სახელი გადმოცემული იყოს მისთვის დამახასიათებელი მოქმედების აღმნიშვნელი ჟესტით და ამრიგად, იგი ვეღარ განირჩევა ზმნისგან ასეთ შემთხვევებში. ასევე რთულია ზმნებისა და სახელების გარჩევა, რამდენადაც ერთი და იგივე ჟესტი, შესაძლოა, სახელსაც აღნიშნავდეს და ზმნასაც. მაგალითად:



წერა და კალამი



საჭმელი და ჭამა

ასეთივე დამოკიდებულებაა ჟესტთა შორის 'გადაღება' და 'ფოტოაპარატი', 'სკამი' / 'დასაჯდომი' და 'დაჯდომა' და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში მცირედი სხვაობა არის მოცემული ზმნისა და სახელების აღმნიშვნელ იდენტურ ჟესტთა შორის. ამერიკულ ჟესტურ ენაში სახელი უფრო მეტ ფაზას მოიცავს, ვიდრე ზმნა. ქართულ ჟესტურ ენაში კი – პირიქით: ზმნა უფრო დინამიკური და მრავალფაზიანია, ვიდრე შესაბამისი სახელი. ზოგ შემთხვევაში გვაქვს მცირედი კინეტიკური განმასხვავებელი ცვლილებებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Brentari, Diane (ed.) 2010 Sign Languages (Cambridge Language Surveys). Cambridge: Cambridge University Press.
- Brentari, Diane 2011 Sign Language Phonology. In: Goldsmith, John A./Riggle, Jason/Yu, AlanC. L. (eds.), TheHandbook of Phonological Theory (2nd Revised Edition). Oxford: Blackwell, 691–721.
- Johnston, Trevor/Schembri, Adam 2007 Australian Sign

Language. An Introduction to Sign Language Linguistics. Cambridge: Cambridge University Press.
- Kimmelman, Vadim/Pfau, Roland forthcoming Information Structure in Sign Languages. In: Fery, Caroline/Ishihara, Shinichiro (eds.), The Oxford Handbook of Information Structure. Oxford: Oxford University Press.
- Marschark, Mark/Spencer, Patricia E. (eds.) 2003 Oxford Handbook of Deaf Studies, Language, and Education. Oxford: Oxford University Press.
- Marschark, Mark/Spencer, Patricia E. (eds.) 2010 Oxford Handbook of Deaf Studies, Language, and Education, Volume 2. Oxford: Oxford University Press.
- Meir, Irit/Sandler, Wendy 2008 A Language in Space. The Story of Israeli Sign Language. New York: Lawrence Erlbaum.
- Pfau, Roland/Steinbach, Markus 2011 Grammaticalization in Sign Languages. In: Narrog, Heiko/Heine, Bernd (eds.), TheOxford Handbook of Grammaticalization. Oxford: Oxford University Press, 683–695.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane 2001 Natural Sign Languages. In: Aronoff, Mark/John Rees-Miller (eds.), The Handbook of Linguistics. Oxford: Blackwell, 533–562.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane 2006 Sign Languages and Linguistic Universals. Cambridge: Cambridge University Press.
- Sutton-Spence, Rachel/Woll, Bencie 1999 The Linguistics of British Sign Language: An Introduction. Cambridge: Cambridge University Press.
- Wilcox, Sherman 2007 Signed Languages. In: Geeraerts, Dirk/ Cuyckens, Herbert (eds.), The Oxford Handbook of Cognitive Linguistics. Oxford: Oxford University Press. 1113–1136.

- Wilcox, Sherman/Wilcox, Phyllis P. 2010 The Analysis of Signed Languages. In: Heine, Bernd/Narrog, Heiko (eds.), The Oxford Handbook of Linguistic Analysis (Oxford Handbooks in Linguistics). Oxford: Oxford University Press, 739–760.
- Makharoblidze Tamar (2018) Verbal Temporal Categories in Georgian Sign Language (GESL) Moambe - Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Georgian Academy Press. ISSN-0132-1447. Vol.12, no 1. Pp. 125-128.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, გზამკვლევი ტრენერისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2012) ჟესტური ენები. თსუ, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები #2 გვ.159-171
- მახარობლიძე თ. (2012) ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი. „კავკასიოლოგიური ძიებები“ III, თსუ. თბილისი. გვ.131-151
- თ. მახარობლიძე, „დროის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში“. ქუთაისის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ ქუთაისი, 2013 294-302 გვ.
- თ. მახარობლიძე, „ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ

ენაში“, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“. თსუ. თბილისი. 2013; 231-233 გვ

- თ. მახარობლიძე, (2014) დროის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. ენათმეცნიერების საკითხები. ეძღვნება ი. მელიქიშვილის ხსოვნას. ISSN 1512-0673. თსუ, თბილისი. გვ. 209-218
- მახარობლიძე თ. (2017) ქართული ენობრივი სირცე. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. გვ. 261-265
- თ. მახარობლიძე, (2017) ბრუნვათა სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. იკე, ტ. 45. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. გვ.123-133
- მახარობლიძე თ. (2016) ლინგვისტური წერილები - III. თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. ISBN 978-9941-13-511-8 446 გვ.
- მახარობლიძე თ. (2018) ლინგვისტური წერილები - IV წიგნის ფაბრიკა. თბილისი ISBN 978 9941-9-0044-3 317 გვ.

ქართული ჟესტური ენის გმნა (გრამატიკული დახასიათება)

ჟესტურ ენებში ზმნათა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა შესაძლებელია ორი პრინციპის მიხედვით:


1. პირველი მიდგომა გაუყვება და გაიმეორებს სამეტყველო ენების მიდგომებს. აქ ზმნათა საკლასიფიკაციო მოდელები ზმნების ძირების ლექსიკური სემანტიკის მიხედვით დაჯგუფდება. შესაბამისად, შესაძლებელია, გამოვყოთ გრძნობა-აღქმის, კოგნიტური კონტენტის ანუ ფიქრისა და აზრის, მოძრაობა-გადაადგილების, შრომა-კეთებისა და ვითარება-მდგომარეობის ზმნები. ცხადია, ამ ჯგუფებში ასევე გამოიყოფა რიგი ქვეჯგუფებისა.
2. მეორე მიდგომა კერძოდ ჟესტური ენების ზმნათა საკუთრივი მახასიათებლების მიხედვით შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული. ასეთი მიდგომით ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია გაითვალისწინებს ზმნის კინეტიკურ მახასიათებლებს და არა მის ლექსიკურ-სემანტიკურ კონტენტს. კერძოდ, შესაძლებელი იქნება ზმნათა შემდეგი ძირითადი ორი ჯგუფის გამოყოფა:

    ა. სხეულთან დაკავშირებული ზმნები და
    ბ. თავისუფალი ზმნები.


აღსანიშნავია, რომ ზმნის ვალენტობის ცნება, როგორც ასეთი, ჟესტურ ენებში დაკავშირებულია სწორედ ზმნის კი-

ნეტიკასთან. ამ თვალსაზრისით, ა-ჯგუფის ზმნები, (სხეულთან დაკავშირებული ზმნები) სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, განიხილება მარტივ ზმნებად. ხოლო მეორე ტიპის ზმნებს, შესაძლოა, ჰქონდეთ აქტანტების მიერთების საშუალება. ეს საშუალება (ანუ ჟესტური ვალენტობა) გააზრებულია კინეტიკურ დონეზე. თუ კინეტიკურად ზმნა მიემართება ობიექტისკენ (ან სუბიექტისკენ), მაშინ ითვლება, რომ ზმნა არის აქტანტებიანი (უცხოეთში ფართოდ გავრცელებული ტერმინოლოგიით – ე. წ. ინკორპორირებული, ანუ ინფლექსიური). ქართული ტრადიციული ენათმეცნიერული სკოლა კი ამ მოვლენას მოიხსენიებს ტერმინით 'პოლიპერსონალიზმი'.


ჟესტურ ენებში ეს ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა (მარტივი და ინფლექსიური). როგორც წესი, მარტივი ზმნები თითქმის ყველა ჟესტურ ენაში საგრძნობლად სჭარბობს მეორე ჯგუფს. წარმოგიდგენთ ქართულ ჟესტურ ენაში ინკორპორირებული ზმნების მაგალითებს:




(შე)ბერვა




(გა)გზავნა




(გა)გდება




(გადა)გდება



(გადა)სროლა



(გადა)დგმა




(გადა)ყვანა




(გადა)თვალიერება და სხვ.

ქართულ ჟესტურ ენაში (და საერთოდ, ჟესტურ ენებში) ზმნები ძირითადად დინამიკური ჟესტებია. ჟესტის მოძრაობის ზოგადი დახასიათებისათვის შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი:

1. ნეიტრალური დინამიკის ვექტორის მქონე – ეს არის ნებისმიერი ტრაექტორიის სხვადასხვა ტიპის ფაზების მქონე დინამიკური ჟესტები. მაგალითებია:



გამოხატვა



აღდგენა



შესრულება და სხვ.

2. მიბაძვითი ანუ პანტომიმური კინეტიკის ჟესტები – ეს არის ჟესტები, რომლებიც იმეორებენ ზმნის ლექსიკური სემანტიკით გამოხატულ მოძრაობას. მაგალითად:



წერა




ჭამა



აალება და სხვ.

ამავე ჯგუფში შედის ზმნები, რომლებიც რაღაც ინსტრუმენტის მეშვეობით სრულდება. როგორც წესი, ჟესტური ენები წარმოადგენენ ამ ინსტრუმენტით შესრულებული მოძრაობის პანტომიმურ ჟესტურ მოდელებს.


3. შეხებითი დინამიკის ფორმები – ეს არის ჟესტები, რომელთა წარმოებისას ხდება სხეულზე შეხება. მაგალითებია:



ნდომა



აზრი/აზროვნება




საკმარისი/ საკმარისია და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე და მესამე ჯგუფების ჟესტებს, შეიძლება, საზიარო ფორმებიც ჰქონდეთ – მაგალითად: *ჭამა, წერა* და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზმნათა ფორმები, შესაძლოა, გადმოგვცემდეს ნულოვან მოქმედებას, ანუ იყოს სტატიკური. ასეთი ფორმებია მდგომარეობა-ვითარების აღმნიშვნელი ანუ სტატიკურ-აღწერილობითი ფორმები. მაგალითებია:



წოლა




ჯდომა




დგომა და სხვ.

მდგომარეობა-ვითარების ზმნები უმეტესწილად სტატიკური ჟესტებია. მნიშვნელოვანია, იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ეს ზმნები ასევე, შესაძლოა, იყოს სხეულთან შეხებითი ჟესტებიც. მაგალითად:



მოსვენება



სიცხე /სიცხის ქონა და სხვ.

ზოგადი სემანტიკური კლასიფიკაცია (ანუ როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი პრინციპის მიხედვით განხორციელებული კლასიფიკაცია), ცხადია, იქნება უნივერსალური ხასიათის. აქ, შესაძლოა, გამოვყოთ ზმნის შემდეგი ჯგუფები:

- ფიზიკური აქტივობის ზმნები,
- გონებრივი და ინტელექტუალური აქტივობის ზმნები,
- ფიზიოლოგიური აქტივობის ზმნები,
- კომუნიკაციური აქტივობის ზმნები,
- ვექტორული მახასიათებლების მქონე ზმნები,
- მდგომარეობა-ვითარების აღმნიშვნელი ზმნები.

ამ ჯგუფების სემანტიკა ხშირად განაპირობებს ჟესტურ ენებში ზმნათა ფორმებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ამ ენებში იკონურობა საკმაოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ როლს თამაშობს ენის იერარქიის ყველა დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aarons, Debra/Bahan, Ben/Kegl, Judy/Neidle, Carol (1992) Clausal Structure and a Tier for Grammatical Marking in American Sign Language. In: Nordic Journal of Linguistics 15, 1032142.
- Aronoff, Mark/Meir, Irit/Sandler, Wendy (2005) The Paradox of Sign Language Morphology. In: Language 81, 3012344.
- Aronoff, Mark/Padden, Carol/Meir, Irit/Sandler, Wendy (2004) Morphological Universals and the Sign Language Type. In: Booij, Geert/Marle, Jaap van (eds.), Yearbook of Morphology 2004. Dordrecht: Kluwer Academic Publishers, 19240.
- Bahan, Ben (1996) Non-manual Realization of Agreement

in American Sign Language. PhD Dissertation, Boston University.
- Bos, Heleen (1994) An Auxiliary Verb in Sign Language of the Netherlands. In: Ahlgren, Inger/Bergman, Brita/Brennan, Mary (eds.), Perspectives on Sign Language Structure: Papers from the Fifth International Symposium on Sign Language Research, Vol. 1. Durham: International Sign Linguistic Association, 37253.
- Brentari, Diane (1988) Backwards Verbs in ASL: Agreement Re-opened. In: MacLeod, Lynn (ed.), Parasession on Agreement in Grammatical Theory (CLS 24, Vol. 2). Chicago: Chicago Linguistic Society, 16227.
- Cormier, Kearsy (2002) Grammaticization of Indexic Signs: How American Sign Language Expresses Numerosity. PhD Dissertation, The University of Texas at Austin.
- Cormier, Kearsy/Wechsler, Stephen/Meier, Richard (1998) Locus Agreement in American Sign Language. In: Webelhuth, Gert/Koenig, Jean-Pierre/Kathol, Andreas (eds.), Lexical and Constructional Aspects of Linguistic Explanation. Stanford, CA: CSLI, 2152229.
- Engberg-Pedersen, Elisabeth (1993) Space in Danish Sign Language: The Semantics and Morphosyntax of the Use of Spacein a Visual Language. Hamburg: Signum.
- Fauconnier, Gilles (1985) Mental Spaces: Aspects of Meaning Construction in Natural Language. Cambridge, MA: MIT Press.
- Fauconnier, Gilles (1997) Mappings in Thought and Language. Cambridge: Cambridge University Press.
- Fischer, Susan (1975) Influences on Word Order Change in American Sign Language. In: Li, Charles (ed.), Word Order

and Word Order Change. Austin, TX: The University of Texas Press, 1225.
- Fischer, Susan (1996) The Role of Agreement and Auxiliaries in Sign Languages. Lingua 98, 1032120.
- Fischer, Susan/Gough, Bonnie (1978) Verbs in American Sign Language. Sign Language Studies 18, 17248.
- Friedman, Lynn (1976) The Manifestation of Subject, Object, and Topic in the American Sign Language. In: Li, Charles (ed.), Subject and Topic. New York, NY: Academic Press, 1252148.
- Hahm, Hyun-Jong (2006) Person and Number Agreement in American Sign Language. In: Müller, Stefan (ed.),
- Proceedings of the 13th International Conference on Head-Driven Phrase StructureGrammar. Stanford, CA: CSLI, 1952211.
- Hong, Sung-Eun (2008) Eine Empirische Untersuchung zu Kongruenzverben in der Koreanischen Gebärdensprache. Hamburg: Signum.
- Jackendoff, Ray (2002) Foundations of Language: Brain, Meaning, Grammar, Evolution. Oxford: Oxford University Press.
- Janis, Wynne (1992) Morphosyntax of ASL Verb Phrase. PhD Dissertation, State University of New York, Buffalo.
- Janis, Wynne (1995) A Cross-linguistic Perspective on ASL Verb Agreement. In: Emmorey, Karen/Reilly, Judy (eds.), Language, Gesture, and Space. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum, 1952223.
- Johnston, Trevor/Schembri, Adam (2007) Australian Sign Language: An Introduction to Sign Language Linguistics. Cambridge: Cambridge University Press.
- Klima, Edward/Bellugi, Ursula (1979) The Signs of Language.

Cambridge, MA: Harvard University Press.
- Lacy, Richard (1974) Putting Some of the Syntax Back Into Semantics. Paper Presented at the Annual Meetingof the Linguistic Society of America, New York.
- Liddell, Scott (1990) Four Functions of a Locus: Re-examining the Structure of Space in ASL. In: Lucas, Ceil (ed.), Sign Language Research: Theoretical Issues. Washington, DC: Gallaudet University Press, 1762198.
- Liddell, Scott (1995) Real, Surrogate, and Token Space: Grammatical Consequences in ASL. In: Emmorey, Karen/ Reilly, Judy (eds.), Language, Gesture, and Space. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum, 19242.
- Liddell, Scott (2000) Indicating Verbs and Pronouns: Pointing Away from Agreement. In: Emmorey, Karen/Lane, Harlan (eds.), The Signs of Language Revisited: An Anthology to Honor UrsulaBellugi and Edward Klima. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum, 3032320. 7. Verb agreement 155
- Liddell, Scott (2003) Grammar, Gesture and Meaning in American Sign Language. Cambridge: Cambridge University Press.
- Liddell, Scott/Metzger, Melanie (1998) Gesture in Sign Language Discourse. In: Journal of Pragmatics 30, 6572697.
- Lillo-Martin, Diane/Klima, Edward (1990) Pointing out Differences: ASL Pronouns in Syntactic Theory. In: Fischer, Susan/Siple, Patricia (eds.), Theoretical Issues in Sign Language Research, Vol. 1: Linguistics. Chicago: University of Chicago Press, 1912210.
- Lillo-Martin, Diane/Meier, Richard (2011) On the Linguistic Status of `Agreement' in Sign Languages. In: Theoretical Linguistics. 37, 952141.

- Marsaja, I Gede (2008) Desa Kolok 2 A Deaf Village and Its Sign Language in Bali, Indonesia. Nijmegen: Ishara Press.
- Massone, Maria I./Curiel, Monica (2004) Sign Order in Argentine Sign Language. In: Sign Language Studies 5, 63293.
- Mathur, Gaurav (2000) Verb Agreement as Alignment in Signed Languages. PhD Dissertation, Massachusetts Institute of Technology.
- Mathur, Gaurav (2002) Number and Agreement in Signed Languages. Paper Presented at the Linguistics Association of Great Britain Spring Meeting, Liverpool.
- Mathur, Gaurav/Rathmann, Christian (2006) Variability in Verb Agreement Forms Across Four Sign Languages. In: Goldstein, Louis/Best, Catherine/Whalen, Douglas (eds.), Laboratory Phonology VIII: Varieties of Phonological Competence. Berlin: Mouton de Gruyter, 2852314.
- Mathur, Gaurav/Rathmann, Christian (2010) Verb Agreement in Sign Language Morphology. In: Brentari, Diane (ed.), Sign Languages:A Cambridge Language Survey. Cambridge: Cambridge University Press, 1732196.
- McBurney, Susan (2002) Pronominal Reference in Signed and Spoken Language: Are Grammatical Categories Modality-dependent? In: Meier, Richard/Cormier, Kearsy/Quinto-Pozos, David (eds.), Modality and Structure in Signed and Spoken Languages. Cambridge: Cambridge University Press, 3292369.
- Meier, Richard (1982) Icons, Analogues, and Morphemes: The Acquisition of Verb Agreement in AmericanSign Language. PhD Dissertation, University of California, San Diego.
- Meier, Richard (1990) Person Deixis in American Sign

Language. In: Fischer, Susan/Siple, Patricia (eds.), Theoretical Issues in Sign Language Research, Vol. 1: Linguistics. Chicago: University of Chicago Press, 1752190.

- Meir, Irit (1998) Thematic Structure and Verb Agreement in Israeli Sign Language. PhD Dissertation, The Hebrew University of Jerusalem.
- Meir, Irit (2002) A Cross-modality Perspective on Verb Agreement. In: Natural Language and Linguistic Theory 20, 4132450.
- Neidle, Carol/Kegl, Judy/MacLaughlin, Dawn/Bahan, Ben/Lee, Robert (2000) The Syntax of American Sign Language: Functional Categories and Hierarchical Structure. Cambridge, MA: MIT Press. 156 II. Morphology
- Newport, Elissa/Supalla, Ted (2000) Sign Language Research at the Millennium. In: Emmorey, Karen/Lane, Harlan (eds.), The Signs of Language Revisited: An Anthology to Honor Ursula Bellugi and Edward Klima. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum, 1032114
- Padden, Carol (1983) Interaction of Morphology and Syntax in American Sign Language. PhD Dissertation, University of California, San Diego [Published 1988 by Garland Outstanding Dissertations in Linguistics, New York].
- Pfau, Roland/Steinbach, Markus (2006) Modality-independent and Modality-specific Aspects of Grammaticalization in Sign Languages. In: Linguistics in Potsdam 24, 5298.
- Pollard, Carl/Sag, Ivan (1994) Head-Driven Phrase Structure Grammar. Chicago: University of Chicago Press.
- Quadros, Ronice de (1999) Phrase Structure of Brazilian Sign Language. PhD Dissertation, Pontifíca Universidade Católica do Rio Grande do Sul, Porto Alegre.

- Quadros, Ronice de/Quer, Josep (2008) Back to Back(wards) and Moving on: On Agreement, Auxiliaries and Verb Classes. In: Quadros, Ronice M. de (ed.), Sign Languages: Spinning and Unraveling the Past,Present, and Future. Forty-five Papers and Three Posters from the 9th Theoretical Issuesin Sign Language Research Conference, Florianopolis, Brazil, December 2006. Petrópolis: Editora Arara Azul. [Available at: www.editora-arara-azul.com.br/EstudosSurdos.php].
- Quer, Josep/Frigola, Santiago (2006) Cross-linguistic Research and Particular Grammars: A Case Study on Auxiliary Predicates in Catalan Sign Language (LSC). Paper Presented at Workshop on Cross-linguistic Sign Language Research, Max Planck Institute for Psycholinguistics, Nijmegen.
- Rathmann, Christian (2000) The Optionality of Agreement Phrase: Evidence from Signed Languages. MA Thesis, The University of Texas at Austin.
- Rathmann, Christian/Mathur, Gaurav (2002) Is Verb Agreement the Same Cross-modally? In: Meier, Richard/Cormier, Kearsy/ Quinto-Pozos, David (eds.), Modality and Structure in Signed and Spoken Languages. Cambridge: Cambridge University Press, 3702404.
- Rathmann, Christian/Mathur, Gaurav (2005) Unexpressed Features of Verb Agreement in Signed Languages. In: Booij, Geert/Guevara, Emiliano/Ralli, Angela/Sgroi, Salvatore/ Scalise, Sergio (eds.), Morphology and Linguistic Typology. On-line Proceedings of the 4th Mediterranean Morphology Meeting(MMM4). Università degli Studi di Bologna, 2352250.
- Rathmann, Christian/Mathur, Gaurav (2008) Verb Agreement as a Linguistic Innovation in Signed Languages. In: Quer, Josep (ed.), Signs of the Time: Selected Papers from TISLR

2004. Hamburg: Signum, 1912216.
- Sandler, Wendy/Lillo-Martin, Diane (2006) Sign Language and Linguistic Universals. Cambridge: Cambridge University Press.
- Sapountzaki, Galini (2005) Free Functional Elements of Tense, Aspect, Modality and Agreement as Possible Auxiliariesin Greek Sign Language. PhD Dissertation, University of Bristol.
- Senghas, Ann/Coppola, Marie (2001) Children Creating Language: How Nicaraguan Sign Language Acquired a Spatial Grammar. In: Psychological Science 12, 3232328.
- Shepard-Kegl, Judy (1985) Locative Relations in American Sign Language: Word Formation, Syntax, and Discourse. PhD Dissertation, Massachusetts Institute of Technology. 7. Verb agreement 157
- Smith, Wayne (1990) Evidence for Auxiliaries in Taiwan Sign Language. In: Fischer, Susan/Siple, Patricia (eds.), Theoretical Issues in Sign Language Research, Vol. 1: Linguistics. Chicago: University of Chicago Press, 2112228.
- Steinbach, Markus (2011) Dimensions of Sign Language Agreement: From Phonology to Semantics. Invited Lecture at Formal and Experimental Advances in Sign Language Theory (FEAST), Venice.
- Supalla, Ted (1997) An Implicational Hierarchy in Verb Agreement in American Sign Language. Manuscript, University of Rochester.
- Sutton-Spence, Rachel/Woll, Bencie (1999) The Linguistics of British Sign Language: An Introduction. Cambridge: Cambridge University Press.
- Taub, Sarah (2001) Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language. Cambridge: Cambridge

University Press.
The Linguistics of Sign Languages (An introduction) 2016. Ed. By Anne Baker, Beppie van den Bogaerde, Roland Pfau, Trude Schermer. John Benjamins Publishing Company.
Thompson, Robin/Emmorey, Karen/Kluender, Robert (2006) The Relationship Between Eye Gaze and Agreement in American Sign Language: An Eye-tracking Study. In: Natural Language and Linguistic Theory 24, 5712604.
Zeshan, Ulrike (2000) Sign Language in Indopakistan: A Description of a Signed Language. Amsterdam: Benjamins.
Zwitserlood, Inge/Gijn, Ingeborg van (2006) Agreement Phenomena in Sign Language of the Netherlands. In: Ackema, Peter/Brandt, Patrick/Schoorlemmer, Maaike/Weerman, Fred (eds.), Arguments and Agreement. Oxford: Oxford University Press, 1952229.

ზმნური აქტანტები

ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა ჟესტურ და სამეტყველო ენებში, ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტი და ობიექტები. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ჟესტური ენები მრავალპირიანი ზმნების მქონე ენებია, თუმცა თავად პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა გაგება ამ ენებში განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან. პოლიპერსონალურია (ანუ ინკორპორირებულია) ზმნის ფორმა, რომელსაც შეუძლია კინეტიკურად ასახოს ობიექტისკენ მიმართული ან ორიენტირებული დინამიკა. მაგალითად, ზმნა *მიცემა* თითქმის ყველა ჟესტურ ენაში არის ბიტრანზიტული (ანუ დიტრანზიტული) – სამპირიანი.



მიცემა

ზმნა *უყვარს/სიყვარული* კი ჟესტურ ენათა უმეტესობაში არის მონოპერსონალური.



უყვარს/სიყვარული

სამეტყველო ენის გაგებით, ეს საკმაოდ უცნაურად ჟღერს, რადგანაც ამ ფორმის (*უყვარს / სიყვარული*) მორფო-სემანტიკა როგორც მინიმუმი ორპირიანია. ის მოიცავს პირს, რომელსაც უყვარს და პირს, რომელიც უყვართ. მაგრამ რადგანაც ჟესტურში ეს არის სხეულზე შეხებითი ფორმა და თავისი კინეტიკით იგი არ მიემართება ირიბი ობიექტისკენ, ზმნა არ ითვლება ორპირიანად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზმნის დინამიკა არ შეიცავს ობიექტისკენ მიმართულ ვექტორს და ამრიგად, ასეთი ზმნური ფორმა მონოპერსონალურია ჟესტური ენების პირიანობის გაგებით. ამ ტიპის ზმნათა ჟესტური ვალენტობა ნულოვანია.

ჟესტურ ენებში ვალენტობა უტოლდება პირიანობის ცნებას, სამეტყველო ენებში კი ეს ცნებები განსხვავებულია (მახარობლიძე 2009). პირიანობა ჟესტურ ენებში გაგებულია, როგორც ობიექტისკენ ორიენტირებული კინეტიკური ვექტორი. ზოგადად, ჟესტური ენები, როგორც სივრცითი განზო-

მილების ვიზუალური ენები, პირიანობისა და ვალენტობის ცნებებს სივრცით ვექტორულ დინამიკას უკავშირებენ. ამრიგად, ჟესტური ენების ვალენტობის ანალიზისას ამოსავალი არ არის ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური არსი, სამეტყველო ენების სათანადო ლოგიკური ანალიზისგან განსხვავებით. ეს მოცემულობა აუცილებლად გასათვალისწინებელია ფართო ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც ასეთ მიდგომას უდიდესი ცვლილებები შეაქვს ვალენტობისა და პირიანობის ტიპოლოგიურ ანალიზში.

ზმნურ აქტანტთა განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი გრამატიკული სხვაობა ჟესტურ და სამეტყველო ენათა შორის მდგომარეობს ზმნურ აქტანტთა მიმართ მიდგომაში. სამეტყველო ენებისათვის უპირატესია სუბიექტის კატეგორია, ხოლო ჟესტური ენებისათვის კი დომინანტია ობიექტი. ეს გარემოება ნათლადაა აღწერილი ევროპელი კოლეგების რონალდ პფაუსა და მარკუს სტეინბახის ერთობლივ ნაშრომში (2018).

სამეტყველო ენაში პირიანი ზმნა აუცილებლად მოიაზრებს სუბიექტის ქონას, მიუხედავად სუბიექტის რეალური აქტივობის ხარისხისა. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზმნა პირნაკლია და აკლია ფორმალური სუბიექტი (მაგალითად, ფორმებში *მეძინება, მცხელა, მცივა* და სხვ.), ამ ფორმებში ენას ობიექტი აქვს გადააზრებული სუბიექტად. ქართული ტრადიციული ენათმეცნიერებაც ამ პოზიციას იზიარებს. სამეტყველო ენებში პირიანი ზმნისთვის სუბექტის კატეგორია ობლიგატორულია, ხოლო ობიექტის აღნიშვნა მხოლოდ პოლიპერსონალური სტრუქტურის ზმნებს შეუძლიათ და ეს ზოგადად, მეორეხარისხოვანია სამეტყველო ენების ზმნათათვის. სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ჟესტურ ენებში. აქ დომინანტი ობიექტია. შეიძლება სუბიექტი არც კი

იყოს მოცემული წინადადებაში, თუკი ის ადრე უკვე ახსენეს, მაგრამ ობიექტი აუცილებლად ასახული იქნება. განსაკუთრებით საუბარია ირიბ ობიექტზე, რომელიც ხშირად სულიერობის კატეგორიით ხასიათდება.

რადგანაც ჟესტურ ენებში გვაქვს დომინირებული ირიბი ობიექტი, აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რატომ ითვლება, რომ ჟესტური ენები ე.წ. ინკორპორირებული ენებია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიპერსონალური ზმნების მქონე ენებია, როგორც ეს აღნიშნულია მსოფლიო ჟესტურ ენებში (Hammarström, Harald, Robert Forkel, Martin Haspelmath & Sebastian Bank. 2016. *Glottolog* 2.7. Jena. http://glottolog.org.)

Sign languages in the world



ობიექტის აღნიშვნა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა სახით ხდება ჟესტურ ენებში. როგორც ბორსტელის ცხრილი (ბორსტელი, 2017:169) გვიჩვენებს, გრამატიკალიზებული პირი არის ძირითადი რელევანტური დომეინი არგუმენტთა სტრუქტურაში.


გრამატიკალიზაცია	ენა
პირი → შეთანხმების დამხმარე	ავსტრიული ჟესტური ენა კატალონური ჟესტური ენა გერმანული ჟესტური ენა ესპანური ჟესტური ენა
პირი → ბრუნვის ნიშანი	ქართული ჟესტური ენა
პირი → ობიექტის ნაცვალსახელი	დანიური ჟესტური ენა ფინურ-შვედური ჟესტური ენა ფინური ჟესტური ენა ისრაელის ჟესტური ენა ნორვეგიული ჟესტური ენა შვედური ჟესტური ენა
პირი → რეფლექსური ნაცვალსახელი	ლიტვური ჟესტური ენა რუსული ჟესტური ენა

(ბორსტელი, 2017:169)

ბორსტელის ცხრილი გრამატიკალიზებული პირის როგორც ძირითადი რელევანტური დომეინის შესახებ არგუმენტთა სტრუქტურაში ამავე ავტორთან გეოგრაფიულად ასე გამოიყურება:

(ბორსტელი, 2017:170)

PERSON derivations




ქართულ ჟესტურ ენაში ზმნური აქტანტები, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს რამდენიმე საშუალებით:

1. პირის ნაცვალსახელით – პირის ნაცვალსახელი კი შეიძლება იყოს მითითებითი (დეიქტიური) ან მიმიკური. როგორც წესი, სივრცეში განთავსებული აქტანტის ადგილი არის მითითებითი – მანუალურად ან მიმიკით. აქვე უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი გარემოება:
    ა. მესამე პირის ზმნური აქტანტისთვის მიჩენილი ადგილი გაბმული ჟესტირების პროცესში უცვლელი რჩება;
    ბ. ინკორპორირებული ზმნების კინეტიკა მიემართება სივრცეში განთავსებული ირიბი ობიექტისკენ.

2. არსებითი სახელით გამოხატული ზმნური აქტანტები დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს. ეს არის ორი ბრუნვა – ირიბი ობიექტის ბრუნვა დატიური მარკერით და ტრანზიტული ზმნის სუბიექტის ბრუნვა წარსულ დროში – ერგატივის მარკერით. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე ბრუნვა მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან გვხვდება ქართულ ჟესტურ ენაში.
3. შესაძლოა, ზმნური აქტანტი არ ჩანდეს რომელიმე წინადადებაში, ანუ მას ჰქონდეს ნულოვანი სინტაქსური მარკირება. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს ჟესტურ ტექსტში მაშინ, როდესაც წინა წინადადებებში მკვეთრად იყო ესა თუ ის აქტანტი წარმოდგენილი და მომდევნო წინადადებებში მისი გამოტოვება ბუნდოვანებას არ წარმოქმნის. ჟესტურ ენებს ზოგადად ახასიათებთ ამ ტიპის ელიფსისები. ეს უკავშირდება ენის ეკონომიკურობის პრინციპს.

ერთ-ერთი მიდგომაა ზმნის პირიანობის გაგება ე. წ. ლოკუსის გზით. აქ გამოიყოფა წყარო (სუბიექტი) – საიდანაც იწყება მოქმედება და მიზანი (ობიექტი) – საითკენაც მიემართება მოქმედება. (სტეინბახი 2010). ჰოლერი და სტეინბახი (2018) ასე გადმოგვცემენ ზმნის კლასიფიკაციას:



ლექსიკური თვალსაზრისით, ზმნა შესაძლოა განსხვავებულად გამოიყურებოდეს იმის მიხედვით, სუბიექტი და/ან ობიექტი ვინ კატეგორიაა თუ რა კატეგორია, სულიერია თუ უსულო. სხვა ჟესტური ენების მსგავსად, კლასის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში საკმაოდ აქტიურია. განვიხილოთ მაგალითები:



კაცი მიდის



კაცი მიდის ორფეხი

ამ მეორე ალტერნატიული ვარიანტიდან კარგად ჩანს სუბიექტის კლასის კატეგორია ზმნაში. საგულისხმოა, რომ ასევე დასაშვებია მეორე ფორმიდან მხოლოდ პირველი და ბოლო ჟესტის გამოყენებაც იმავე შინაარსის გადმოსაცემად.



მიდის კაცი(?)



მიდის ორფეხი კაცი(?)

აქ ნათლად ჩანს, მიმიკის როლი კითხვით ფორმაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმიკას ასეთ შემთხვევაში აქვს გრამატიკული დატვირთვა.



კაცი მიდის არა

ეს ნიშნავს შემდეგს – *კაცი არ მიდის*. იგივე შინაარსი ასეც შეგვიძლია გადმოვცეთ:



კაცი მიდის ორფეხი არა

უარყოფით ფორმაში *კაცი არ მიდის* ზმნის შემდეგ მოდის უარყოფითი ნაწილაკი ‘არა’.



მიდის ძაღლი

როგორც ვხედავთ, აქ კლასის კატეგორია ზმნაში ასახულია კინეტიკურად როგორც ოთხფეხის სიარული. შევადაროთ წინა მაგალითს და დავინახავთ აშკარა კინეტიკურ სხვაობას ორფეხის (ადამიანის) და ოთხფეხის (ძაღლის) ზმნურ მოქმედებებს შორის, ე.ი. ზმნა მიდის სულიერი კატეგორიის სუბიექტების შემთხვევაში სხვაობს ვინ და რა კლასების მიხედვით.

კითხვითი ფორმა – *მიდის ძაღლი(?)* მიმიკაზეა სრულად დაყრდნობილი:



მიდის ძაღლი(?)



ძაღლი მიდის არა

უარყოფით ფორმაში – *ძალლი არ მიდის* – ზმნის შემდეგ მოდის უარყოფითი ნაწილაკი 'არა', როგორც ეს იყო წარმოდგენილი წინა მაგალითში ადამიანის კატეგორიის სუბიექტის მქონე უარყოფითი ფორმის ზმნასთან.



მანქანა მიდის

ამ წინადადებაში ზმნა მიდის წარმოდგენილია განსხვავებული ჟესტით და ეს დამოკიდებულია სუბიექტის (*მანქანა*) კლასზე. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ ენაში არ გვაქვს ერთი მიდის ზმნური ფორმა. ამ ზმნის ჟესტი დამოკიდებულია სუბიექტზე – თუ ვინ ან რა მიდის.

ამ წინადადებაში ზმნის ფორმას აქვს ალტერნატიული ვარიანტიც:



მანქანა მიდის

შესაბამისი კითხვითი ფორმებია:



მანქანა მიდის(?)



მიდის მანქანა (?)



მანქანა მიდის (?)

უარყოფითი ფორმები:



მანქანა მიდის არა



მანქანა მიდის არა



ჩიტი მიფრინავს

აქ წარმოდგენილი ზმნის პანტომიმური ჟესტი სუბიექტის კლასის კატეგორიას ასახავს დინამიკური კინეტიკით.



მიფრინავს ჩიტი(?)

ამ კითხვით ფორმაში სუბიექტი ზმნის შემდეგ იკავებს ადგილს, წინა მაგალითიც (*მიდის კაცი?*) ამის დასტურია. გარდა მიმიკისა, კითხვით ფორმაში პოზიციური ფაქტორიც მუშაობს. თუმცა უნდა ისიც აღინიშნოს, რომ შებრუნებული ფორმებიც დასაშვებია, როგორც ეს მომდევნო მაგალითებიდან ჩანს:



ჩიტი მიფრინავს(?)



კაცი მიდის(?)

ეს წყობა კითხვით ფორმაში დასაშვებია, როგორც ვხედავთ. უნდა ითქვას, რომ ქართველი ყრუები უპირატესობას ანიჭებენ ზმნის უწინარესობას კითხვით ფორმებში (*მიდის კაცი?*). მაინც, ვფიქრობთ, რომ ეს სტილის საკითხია.



ჩიტი მიფრინავს არა

ეს უარყოფითი ფორმაა მოსალოდნელი წყობით – უარყოფითი ნაწილაკი დაერთვის ზმნას და მისი შესაბამისი ჟესტი (არა) მოჰყვება პანტომიმური ზმნის ჟესტს.



თვითმფრინავი მიფრინავს

ეს არის ეგრეთწოდებული სივრცითი ზმნა, რომელიც დინამიკური, ვექტორული ჟესტია. როგორც ვხედავთ, აქ გაერთიანებულია სუბიექტის და ზმნის ჟესტები და წარმოდგენილია ერთიანი ფორმა. თუ შევადარებთ წინა მაგალითს (*ჩიტი მიფრინავს*), სხვაობა სუბიექტის მიხედვით, კლასის კატეგორიის ფარგლებში, ნათელი გახდება.



თვითმფრინავი მიფრინავს?


ამ მაგალითში კითხვითი მოცემულობა ოდენ მიმიკაზეა დამოკიდებული.



თვითმფრინავი მიფრინავს არა

უარყოფით ფორმაში თვითმფრინავი არ მიფრინავს უარყოფითი ნაწილაკი 'არა' ბოლოშია განთავსებული, როგორც იყო მოსალოდნელი.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზმნის ფორმა იცვლება ზმნის აქტანტის კლასის კატეგორიიდან გამომდინარე. ცხადია, პანტომიმური დინამიკა განსხვავებულია ორფეხა და ოთხფეხა სულიერი არსების სიარულის ან სირბილის შემთხვევაში. ასევე სხვაობაა ფრენის კინეტიკას შორის.



მეზობელი ერგატივის ნიშანი წიგნი მოიტანა

მეზობელმა წიგნი მოიტანა – აქ სუბიექტად წარმოდგენილი სულიერი აქტანტი ერგატივის ფორმას გამოიყენებს (მესამე ფოტო). ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რაც ხაზს უსვამს ქართული ჟესტური ენის უნიკალურ ბუნებას. ზოგადად ცნობილია, რომ ჟესტური ენებისთვის ბრუნება არ არის დამახასიათებელი. ქართული ჟესტური ენა კი ამ დებულებას არ იზიარებს. ამასთან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეს ენა არ ახდენს სამეტყველო ქართული ენის ბრუნვათა სისტემის კოპირებას, არამედ აყალიბებს თავის ორიგინალურ სისტემას (მახარობლიძე 2012). ტიპოლოგიური თვალსაზრი-

სით, ეს ერთობ საგულისხმო ფაქტია. ერგატივის ნიშანი წარმოშობით არის ადამიანის ჟესტი:



ადამიანი

ეს არის ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერა თითები გამოსახავენ ღია წრეს, ხელი ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე. როდესაც ეს ჟესტი აფიქსურ ფორმად გამოიყენება, ამ შემთხვევაში ერგატივის ნიშნად, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, იგი არ დაერთვის რა კატეგორიის არსებით სახელებს.

ქართულ ჟესტურ ენაში ერგატიული ბრუნვა ახასიათებს მხოლოდ ვინ-კატეგორიის ადამიანის კლასის სახელებს. ასევე, მხოლოდ ამ კლასის სახელებს აქვთ მეორე აქტანტური ბრუნვა – დატივი.




მოტანა მეზობელი ერგატივის ნიშანი წიგნი

მოიტანა მეზობელმა წიგნი? – ამ მაგალითში ოდენ მიმიკაზეა მინდობილი კითხვითი ფორმის შინაარსი.



მეზობელი ერგატივის ნიშანი მოტანა არა წიგნი

მეზობელმა წიგნი არ მოიტანა – ამ წინადადების უარყოფითი ფორმა მეტნაკლებად ცვლის წინადადების წევრების ადგილებს, თუმცა ეს სტილის საკითხია. მთავარი არის ის, რომ უარყოფითი ნაწილაკი ზმნის შემდეგაა.



მეზობელი ერგატივის ნიშანი ბავშვი მოიყვანა

მეზობელმა ბავშვი მოიყვანა – ამ მაგალითშიც ერგატიული სუბიექტი გვაქვს. წინა მაგალითისგან განსხვავებით, აქ არის ვინ კატეგორიის ობიექტი და ზმნაც, შესაბამისად, განსხვავებულია.



მოიყვანა მეზობელი ერგატივის ნიშანი ბავშვი

კითხვითი ფორმა – *მეზობელმა ბავშვი მოიყვანა?* მიმიკაზეა დაყრდნობილი, და ასევე წინ გადაწეულია ზმნა.



მეზობელი ერგატივის ნიშანი მოიყვანა არა ბავშვი

მეზობელმა ბავშვი არ მოიყვანა – ამ უარყოფით წინადადებაში ზმნის შემდეგ მოდის უარყოფითი ნაწილაკი 'არა'.



ექიმი ერგატივის ნიშანი წამლები მრავალფეროვნება წაიღო

ექიმმა წამლები წაიღო – აქ გვაქვს ერგატიული სუბიექტი და უსულო, რა კატეგორიის ობიექტი. შესაბამისად, ზმნა ასახავს აქტანტთა კლასის კატეგორიებს.



წაიღო ექიმი ერგატივის ნიშანი წამლები მრავალფეროვნება

ექიმმა წამლები წაიღო? – ამ კითხვითი წინადადების შედარება წინა მაგალითებთან გვიჩვენებს, რომ კითხვითი წინადადების წყობასა და ფორმაზე გავლენას არ ახდენს ზმნურ აქტანტთა კლასის კატეგორია.



ექიმი ერგატივის ნიშანი წამლები მრავალფეროვნება წაილო არა

ექიმმა წამლები არ წაილო – ზმნის შემდეგ მოდის უარყოფითი ნაწილაკი ‘არა’.



ექიმი ერგატივის ნიშანი პაციენტი მოყვანა

ექიმმა პაციენტი მოიყვანა – აქ გვაქვს ერგატიული სუბიექტი და ვინ კატეგორიის ობიექტი. შესაბამისად, ზმნა ასახავს აქტანტთა კლასის კატეგორიებს.



მე მაქვს კალამი




მაქვს მე კალამი

მაქვს მე კალამი? – კითხვითი წინადებაა წინ გადასმული ზმნითა და შესაბამისი მიმიკით.



მე კალამი არ - მაქვს

მე არ მაქვს კალამი – უარყოფითი წინადადებაა, სადაც ქონა ზმნას აქვს სრულიად განსხვავებული ფორმა. ზოგი ზმნა (მათ შორის მოდალური ზმნები) განსხვავებულ ჟესტებს გვიჩვენებენ უარყოფით ფორმებში.



მე მყავს და

მე მყავს და – ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ქონა-ყოლა ზმნა ერთია სულიერი და უსულო, ვინ და რა კატეგორიისათვის.



მყავს მე და

მყავს მე და – ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ კითხვითი ფორმები განსხვავებული არაა წარმოების თვალსაზრისით.



მე და არ მყავს

მე და არ მყავს – ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქონა-ყოლა ზმნის უარყოფითი ფორმებიც ერთნაირია და კლასის თვალსაზრისით, აქ სხვაობა არ გვაქვს.



ქალი დატიური მარკერი ფეხი მოვტეხე უნებლიობის ჟესტი

ქალს ფეხი მოვტეხე (შემთხვევით) – მოცემული მაგალითი გვიჩვენებს ვინ კატეგორიის ირიბი ობიექტის დატიურ მარკირებას. აქ გვაქვს უნებლიობის ჟესტიც. იგივე მაგალითი, თუკი ის გამიზნულობას შეიცავს წარმოდგენილი იქნება ე.წ. მალეფაქტივის ფორმით:



ქალი დატიური მარკერი ფეხი მოვტეხე უპატივცემლობის ჟესტი



მოვტეხე ქალი დატიური მარკერი ფეხი უნებლიობის ჟესტი

ამ წინადადებაში ქალს ფეხი მოვტეხე (შემთხვევით)? - კითხვითი მოცემულობა ოდენ მიმიკაზეა დაყრდნობილი.



იყო - არა მოვტეხე ქალი დატიური მარკერი ფეხი

ქალს ფეხი არ მოვტეხე – ამ უარყოფით წინადადებაში თავს იჩენს წარსული დროის უარყოფითი ნიშანი 'იყო-არა', რომლის შესახებაც ქვემოთ, ნეგაციის ნაწილში გვექნება დაწვრილებით საუბარი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უსულო, რა-კლასის ობიექტს არ დაერთვის დატიური მარკერი.



მაგიდა ფეხი - მოვეტეხე

ამ წინადადებაში – *მაგიდას ფეხი მოვტეხე* – რა კლასის ირიბი ობიექტი დატიური მარკერის გარეშეა წარმოდგენილი. ზმნა მოვტეხე და პირდაპირი ობიექტი ფეხი იკონურ-პანტომიმური ერთიანობითაა წარმოდგენილი ერთ ჟესტად. განსხვავებულია წინა მაგალითისგან როგორც ირიბი ობიექტის ფორმით, ასევე ზმნისა და პირდაპირი ობიექტის ერთიანობითაც.

კითხვითი ფორმაა:



მოვტეხე ფეხი მაგიდას (?)

აქ მიმიკით გამოხატულია კითხვა.
უარყოფითი ფორმა ასეთია:




მაგიდა იყო-არა მოვტეხე მაგიდის ფეხი

როგორც ვხედავთ, აქ მეორდება ჟესტი მაგიდის, ხოლო წარსული დროის ზმნის უარყოფითი ფორმა მოცემულია ზმნური შეთანხმებით 'იყო-არა'.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ობიექტის მიხედვითაც იცვლება ზმნა. სულიერი ვინ კატეგორიის ირიბი ობიექტის მქონე ზმნა განსხვავებულია და ეს ნათლად ჩანს *წავიღე / მოვიტანე* და *წავიყვანე / მოვიყვანე* ოპოზიციაში. საგულისხმოა, რომ სხვა სამეტყველო ენებისგან, ქართულ სამეტყველო ენაშიც ასახულია ამ ტიპის ოპოზიცია. რაც შეეხება ქონა-ყოლის ოპოზიციას, რომელიც ქართულ სამეტყველო ენაში კარგად არის ჩამოყალიბებული ვინ-რა კატეგორიის მიხედვით, ქართულ ჟესტურ ენაში ასეთი ოპოზიცია არ არსებობს. აქ აშკარაა რუსული (ჟესტური) ენის გავლენა. უფრო მეტიც, არ არის სხვაობა *ქონა-ყოლასა* და *ყოფნა* ზმნას შორის. ამ პირველადი ზმნის პოსესიური და ეგზისტენციალური ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში ერთნაირადაა წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ ნეიტრალურ პოზიციაში (დესტინაციურ-პოსესიური თვალსაზრისით) ირიბ ობიექტს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშანი – ეს, ფაქტობრივად, არის დატიური მარკერი, რომელიც მხოლოდ ვინ კატეგორიის ირიბ ობიექტთან გამოიყენება. ამ მორფოლოგიური აფიქსის ჟესტი ასე გამოიყურება:




ირიბი ობიექტის დატიური მარკერი

წინადადებაში *მე ვუთხარი დედას ეს ამბავი*. ეს ჟესტი იქნება წარმოდგენილი სიტყვა დედა-ს შემდგომ:



მე ვუთხარი დედა დატიური ნიშანი ეს ამბავი

რეალურად, ეს არის ირიბი ობიექტის ერთ-ერთი ნიშანი და ამრიგად, ეს არის ერთ-ერთი რამ (სხვა ფაქტორებთან ერთად), რაც ათავისუფლებს სიტყვათა რიგს ქართულ ჟესტურ ენაში და ამ ენაში აყალიბებს მდიდარ მორფოლოგიას. დატივის ნიშანი შენარჩუნებულია კითხვითსა და უარყოფით წინადადებებშიც:




ვუთხარი მე დედა დატიური ნიშანი ეს ამბავი (?)




ვუთხარი იყო-არა დედა დატიური ნიშანი ეს ამბავი

უარყოფით ფორმაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი ნაწილაკი ჩნდება ზმნის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჟესტურ ენაში შეგვიძლია გამოვყოთ მესამე პირის პირდაპირი ობიექტის გარკვეული ნიშანიც:



ეს არის ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სამფაზიანი ჟესტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მესამე პირის უსულო, რა-კლასის პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად და წინ უძღვის ნაცვალსახელს *ის/ეს*. მაგ. მე გავაკეთე ეს. ამ წინადადებაში ეს წარმოდგენილი იქნება ამ ზემოთმოცემულ ჟესტთან ერთად. ფაქტობრივად, ეს ჟესტი შეგვიძლია პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელ რთულ ნაცვალსახელადაც მივიჩნიოთ – ასეთი კომბინაციით პირის ნაცვალსახელთან:



ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ჟესტს (ამ ფოტოზე წარმოდგენილ პირველ სამ ნაწილს) დამოუკიდებლად არ გააჩნია ლექსიკური დონე, ანუ ცალკე იგი დელექსიკალიზებული ერთეულია. ბოლო, მეოთხე ფოტოზე კი წარმოდგენილია დეიქტიური ნაცვალსახელი *ის/ეს*.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს ენობრივი მოვლენა რუსული ჟესტური ენიდანაა და იქაც აკუზატიური აქტანტის ფუნქცია აქვს მესამე პირის უსულო საგანთა კლასის აქტანტებისთვის.

ზმნური აქტანტების ასეთი აქტივობა (მარკერების ქონის დონეზე) ძალიან მნიშვნელოვანია ამ ენის მორფოლოგიისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სამეტყველო ქართულის გავლენას, ცხადია, ვერ გაექცევა ქართული ჟესტური ენა, მაგრამ აქტანტების მარკირების მისი სისტემა არ იმეორებს სამეტყველო ქართულის მონაცემებს. კერძოდ, ქართული ჟესტური ენა მხოლოდ ვინ კატეგორიის აქტანტების მარკირებას ახდენს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თავში ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ზმნა პირიანი ფორმით გვაქვს გამოყენებული მეტი სიცხადისთვის. თუმცა ზოგადად, ეს არის უპირო ფორმები. პირის გაგებას ზმნებს აძლევს აქტანტური ჟესტები. გაბმული ჟესტირების პროცესში ბევრ წინადადებაში, შესაძლოა, სუბიექტი არც კი იყოს წარმოდგენილი, ან აღარ განმეორდეს ობიექტი ახლო პოზიციაში, მაგრამ ზმნა მაინც პირიან ფორმად იქნება გააზრებული და მისი პირიანი ფორმით თარგმანიც უპრიანია. გლოსირების დროს კი ხდება ფორმათა დეტალური ანალიზი და ცხადია, ასე წარმოდგენილი ჟესტური ზმნა იქნება უპირო ფორმით. ამ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა და ზმნის პირიანი ფორმით გადმოცემის შესახებ ბეიკერ-შენკელის შეხდულებას (ბეიკერ-შენკელი 1991:248) მე ცალსახად ვიზიარებ. განსაკუთრებით კი ეს ეხება ზმნური აქტანტების შესახებ მსჯელობის პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aissen, Judith. 2003. Differential object marking: Iconicity vs. economy. Natural Language & Linguistic Theory 21(3). 435–483. DOI: https://doi.org/10.1023/A:1024109008573
- Aronoff, Mark, Irit Meir & Wendy Sandler. 2005. The paradox of sign language morphology. Language 81. 301–344. DOI: https://doi.org/10.1353/lan.2005.0043
- Bergman, Brita & Lars Wallin. 2001. The discourse function of noun classifiers in Swedish Sign Language. In Valerie Dively, Melanie Metzger, Taub Sarah F. & Anne Marie Baer (eds.), Signed languages: Discoveries from international research, 45–61. Washington, DC: Gallaudet University Press.
- Börstell, Carl (2019). Differential object marking in sign languages. Glossa: A Journal of General Linguistics, 4(1), 3. DOI: http://doi.org/10.5334/gjgl.780
- Bjerva, Johannes & Carl Börstell. 2016. Complexity influences verb–object order in Swedish Sign Language. In Dominique Brunato, Felice Dell'Orletta, Giulia Venturi, Thomas François & Philippe Blache (eds.), Proceedings of the 1st Workshop on Computational Linguistics for Linguistic Complexity (CL4LC) [26th International Conference on Computational Linguistics (COLING 2016)], 137–141. Osaka: International Committee on Computational Linguistics (ICCL).
- Börstell, Carl. 2017. Object marking in the signed modality: Verbal and nominal strategies in Swedish Sign Language and other sign languages. Stockholm: Stockholm University dissertation.
- Bossong, Georg. 1985. Differentielle Objektmarkierung in den Neuiranischen Sprache. Tübingen: Gunter Narr Verlag.

- Boyes Braem, Penny & Rachel Sutton-Spence (eds.). 2001. The hands are the head of the mouth: The mouth as articulator in sign languages. Berlin: Signum.
- Bross, Fabian. 2018. Differential object marking in German Sign Language: Animacy and definiteness as cross-linguistically stable cognitive concepts. Presentation at the VIII International Symposium on Intercultural, Cognitive and Social Pragmatics. Universidad de Sevilla.
- Comrie, Bernard. 1989. Language universals and linguistic typology. Oxford: Blackwell.
- Cormier, Kearsy. 2012. Pronouns. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language: An international handbook, 227–244. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton.
- Cormier, Kearsy, Jordan Fenlon & Adam Schembri. 2015. Indicating verbs in British Sign Language favour motivated use of space. Open Linguistics 1. 684–707. DOI: https://doi.org/10.1515/opli-2015-0025
- Costello, Brendan. 2016. Language and modality: Effects of the use of space in the agreement system of lengua de signos española. Utrecht: LOT.
- Dahl, Östen & Kari Fraurud. 1996. Animacy in grammar and discourse. In Tore Fretheim & Jeanette K. Gundel (eds.), Reference and referent accessibility, 47–64. Amsterdam: John Benjamins. DOI: https://doi.org/10.1075/pbns.38.04dah
- de Swart, Peter, Monique Lamers & Sander Lestrade. 2008. Animacy, argument structure, and argument encoding. Lingua 118(2). 131–140. DOI: https://doi.org/10.1016/j.lingua.2007.02.009
- Dotter, Franz. 2018. Most characteristic elements of sign lan-

guage texts are intricate mixtures of linguistic and non-linguistic parts, aren't they? Colloquium: New Philologies, 1–62. http://colloquium.aau.at/index.php/Colloquium/article/view/60. DOI: https://doi.org/10.23963/cnp.2018.3.1.1
- Dryer, Matthew S. 2013. Order of subject, object and verb. In Matthew S. Dryer & Martin Haspelmath (eds.), The World Atlas of Language Structures Online. Leipzig: Max Planck Institute for Evolutionary Anthropology. http://wals.info/chapter/81.
- Dryer, Matthew S. & Martin Haspelmath (eds.). 2013. The World Atlas of Language Structures Online. Leipzig: Max Planck Institute for Evolutionary Anthropology. http://wals.info/.
- Emmorey, Karen (ed.). 2003. Perspectives on classifier constructions in sign languages. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates. DOI: https://doi.org/10.4324/9781410607447
- Fenlon, Jordan, Adam Schembri & Kearsy Cormier. 2018. Modification of indicating verbs in British Sign Language: A corpus-based study. Language 94(1). 84–118. DOI: https://doi.org/10.1353/lan.2018.0002
- Friedman, Lynn A. 1976. The manifestation of subject, object, and topic in American Sign Language. In Charles N. Li (ed.), Subject and topic, 127–148. London/New York, NY: Academic Press.
- Gelderen, Elly van. 2011. The grammaticalization of agreement. In Bernd Heine & Heiko Narrog (eds.), The Oxford handbook of grammaticalization, 491–501. Oxford: Oxford University Press. DOI: https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199586783.013.0049
- Gil, David. 2014. Sign languages, creoles, and the develop-

ment of predication. In Frederick J. Newmeyer & Laurel B. Preston (eds.), Measuring grammatical complexity, 37–64. Oxford: Oxford University Press. DOI: https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780199685301.003.0003
- Goldin-Meadow, Susan, Wing Chee So, Aslı Özyürek & Carolyn Mylander. 2008. The natural order of events: How speakers of different languages represent events nonverbally. Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America 105(27). 9163–9168. DOI: https://doi.org/10.1073/pnas.0710060105
- Hall, Matthew L., Rachel I. Mayberry & Victor S. Ferreira. 2013. Cognitive constraints on constituent order: Evidence from elicited pantomime. Cognition 129(1). 1–17. DOI: https://doi.org/10.1016/j.cognition.2013.05.004
- Hall, Matthew L., Y. Danbi Ahn, Rachel I. Mayberry & Victor S. Ferreira. 2015. Production and comprehension show divergent constituent order preferences: Evidence from elicited pantomime. Journal of Memory and Language 81. 16–33. DOI: https://doi.org/10.1016/j.jml.2014.12.003
- Hammarström, Harald, Robert Forkel, Martin Haspelmath & Sebastian Bank. 2016. Glottolog 2.7. Jena. http://glottolog.org.
- Heine, Bernd & Tania Kuteva. 2002. World lexicon of grammaticalization. Cambridge: Cambridge University Press. 401. DOI: https://doi.org/10.1017/CBO9780511613463
- Holler, A., Steinbach, M. 2018. Sign language agreement: A constraint based perspective. In Muller, Stefan, & Richter, Frank (Eds.), Proceedings of the 25th International Conference on Head-Driven Phrase Structure Grammar, University of Tokyo, 49–67. Stanford, CA: CSLI Publications

- Hou, Lynn & Richard P. Meier. 2018. The morphology of first-person object forms of directional verbs in ASL. Glossa: A Journal of General Linguistics 3(1). 114. DOI: https://doi.org/10.5334/gjgl.469
- Huang, Yan. 2000. Anaphora: A cross-linguistic approach. Oxford: Oxford University Press.
- Lemmolo, Giorgio. 2011. Towards a typological study of differential object marking and differential object indexation. Pavia: University of Pavia dissertation.
- Johnston, Trevor, Myriam Vermeerbergen, Adam Schembri & Lorraine Leeson. 2007. 'Real data are messy': Considering cross-linguistic analysis of constituent ordering in Auslan, VGT, and ISL. In Pamela M. Perniss, Roland Pfau & Markus Steinbach (eds.), Visible variation: Cross-linguistic studies in sign language structure, 163–205. Berlin/New York, NY: Mouton de Gruyter.
- Kimmelman, Vadim. 2009. Reflexive pronouns in Russian Sign Language and Sign Language of the Netherlands. Amsterdam: University of Amsterdam MA thesis.
- Kimmelman, V. 2018. Basic argument structure in Russian Sign Language. Glossa: A journal of general linguistics 3(1): 116. 1–39, DOI: https://doi.org/10.5334/gjgl.494
- Krebs, Julia, Ronnie B. Wilbur & Dietmar Roehm. 2017. Two agreement markers in Austrian Sign Language (ÖGS). Sign Language & Linguistics 20(1). 27–54. DOI: https://doi.org/10.1075/sll.20.1.02kre
- Leeson, Lorraine & John Saeed. 2012. Word order. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language: An international handbook, 245–265. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton.

- LGKŽ. 2012. Lietuvių gestų kalbos žodynas. http://gestai.ndt.lt/.
- Liddell, Scott K. 2011. Agreement disagreements. Theoretical Linguistics 4(3–4). 161–172. DOI: https://doi.org/10.1515/thli.2011.012
- Lillo-Martin, Diane & Richard P. Meier. 2011. On the linguistic status of 'agreement' in sign languages. Theoretical Linguistics 37(3–4). 95–142. DOI: https://doi.org/10.1515/thli.2011.009
- Makharoblidze, Tamar. 2015. Indirect object markers in Georgian Sign Language. Sign Language & Linguistics 18(2). 238–250. DOI: https://doi.org/10.1075/sll.18.2.03mak
- Mathur, Gaurav & Christian Rathmann. 2012. Verb agreement. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language: An international handbook, 136–157. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton. DOI: https://doi.org/10.1515/9783110261325.136
- McBurney, Susan. 2012. History of sign languages and sign language linguistics. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language: An international handbook, 909–948. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton. DOI: https://doi.org/10.1515/9783110261325.909
- Meir, Irit. 2003. Grammaticalization and modality: The emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language. Journal of Linguistics 39(1). 109–140. DOI: https://doi.org/10.1017/S0022226702001664
- Meir, Irit, Mark Aronoff, Carl Börstell, So-One Hwang, Deniz Ilkbasaran, Itamar Kastner, Ryan Lepic, Adi Lifshitz Ben-Basat, Carol Padden & Wendy Sandler. 2017. The effect of being human and the basis of grammatical word order: Insights from novel communication systems and young sign languages. Cognition 158. DOI: https://doi.org/10.1016/j.cog-

nition.2016.10.011
- Mesch, Johanna, Lars Wallin, Anna-Lena Nilsson & Brita Bergman. 2012. Dataset. Swedish Sign Language Corpus project 2009–2011 (version 1). http://www.ling.su.se/teckensprakskorpus.
- Napoli, Donna Jo & Rachel Sutton-Spence. 2014. Order of the major constituents in sign languages: Implications for all language. Frontiers in Psychology 5. 376. DOI: https://doi.org/10.3389/fpsyg.2014.00376
- Napoli, Donna Jo, Rachel Sutton-Spence & Ronice Müller de Quadros. 2017. Influence of predicate sense on word order in sign languages: Intensional and extensional verbs. Language 93(3). 641–670. DOI: https://doi.org/10.1353/lan.2017.0039
- Österberg, Oskar. 1916. Teckenspråket. Uppsala: P. Alfr. Persons förlag.
- Padden, Carol. 1988. Interaction of morphology and syntax in American Sign Language. New York, NY/London: Garland Publishing, Inc.
- Padden, Carol, Irit Meir, Wendy Sandler & Mark Aronoff. 2010. Against all expectations: Encoding subjects and objects in a new language. In Donna B. Gerdts, John C. Moore & Maria Polinsky (eds.), Hypothesis A/hypothesis B: Linguistic explorations in honor of David M. Perlmutter, 383–400. Cambridge, MA: MIT Press.
- Pfau, Roland & Markus Steinbach. 2006. Pluralization in sign and in speech: A cross-modal typological study. Linguistic Typology 10(2). 135–182. DOI: https://doi.org/10.1515/LINGTY.2006.006
- Pfau, Roland & Markus Steinbach. 2013. PERSON climbing up a tree: (and other adventures in sign language grammati-

calization). Sign Language & Linguistics 16(2). 189–220. DOI: https://doi.org/10.1075/sll.16.2.04pfa
- Pfau, Roland, Martin Salzmann & Markus Steinbach. 2018. The syntax of sign language agreement: Common ingredients, but unusual recipe. Glossa: A Journal of General Linguistics 3(1). 107. DOI: https://doi.org/10.5334/gjgl.511
- Rathmann, Christian. 2003. The optionality of agreement phrase: Evidence from German Sign Language (DGS). In William Earl Griffin (ed.), The role of agreement in natural language: Proceedings of the 5th Annual Texas Linguistics Society Conference, 181–192. Austin, TX: Texas Linguistics Forum.
- Rathmann, Christian & Gaurav Mathur. 2002. Is verb agreement the same cross-modally? In Richard P. Meier, Kearsy Cormier & David Quinto-Pozos (eds.), Modality and structure in signed and spoken languages, 370–404. Cambridge: Cambridge University Press.
- Sapountzaki, Galini. 2012. Agreement auxiliaries. In Roland Pfau, Markus Steinbach & Bencie Woll (eds.), Sign language: An international handbook, 204–227. Berlin/Boston, MA: De Gruyter Mouton.
- Schembri, Adam, Kearsy Cormier & Jordan Fenlon. 2018. Indicating verbs as typologically unique constructions: Reconsidering verb 'agreement' in sign languages. Glossa: A Journal of General Linguistics 3(1). 89. DOI: https://doi.org/10.5334/gjgl.468
- Seržant, Ilja A. & Alena Witzlack-Makarevich (eds.). 2018. Diachrony of differential argument marking (Studies in Diversity Linguistics 19). Berlin: Language Science Press. DOI: https://doi.org/10.5281/zenodo.1219168

- SSL Dictionary. 2018. Sign Language Section, Department of Linguistics, Stockholm University. http://teckenspraksIexikon.ling.su.se/.
- Vermeerbergen, Myriam, Lorraine Leeson & Onno Crasborn (eds.). 2007. Simultaneity in signed languages: Form and function. Amsterdam/Philadelphia, PA: John Benjamins. DOI: https://doi.org/10.1075/cilt.281
- Wilcox, Phyllis P. 1998. GIVE: Acts of giving in American Sign Language. In John Newman (ed.), The linguistics of giving (Typological Studies in Language) 36. 175–208. DOI: https://doi.org/10.1075/tsl.36.07wil
- Witzlack-Makarevich, Alena & Ilja A. Seržant. 2018. Differential argument marking: Pattterns of variation. In Ilja A. Seržant & Alena Witzlack-Makarevich (eds.), Diachrony of differential argument marking (Studies in Diversity Linguistics 19), 1–40. Berlin: Language Science Press. DOI: https://doi.org/10.5281/zenodo.1228243

პირთა კომბინაცია ქართული ჟესტური ენის გმნაში

რაც შეეხება ქართული ჟესტური ენის ზმნის უღვლილებას, აქ უნდა ითქვას, რომ ამ ზმნას აქვს მორფოლოგიური საშუალებები, რომ გადმოსცეს სამეტყველო ქართულის შესაბამისი მწკრივები გამონაკლისის გარეშე, მაგრამ მისი პარადიგმა არ გაიმეორებს სამეტყველო ქართული ენის ზმნის პარადიგმებს. ქართული ჟესტური ენის ზმნის უღვლილება, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს დროის და კილოს მარკერების დონეზე. რამდენადაც, ეს მაინც დამოუკიდებელი ჟესტებია და თავად ზმნა რჩება უცვლელი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი პარადიგმის წარმოდგენას ნაკლები აზრი აქვს.

ერთადერთი ტიპის პარადიგმა, რაც შეიძლება ქართულ ჟესტურ ენაში ზმნას ჰქონდეს, არის პირთა კომბინაციის ფორმები. ასეთი პარადიგმა მხოლოდ ე.წ. ინკორპორირებულ ზმნებს ექნებათ.


ქართულ სამეტყველო ენაში პირთა კომბინაციის ძირითადი სქემა (ერთი მწკრივისთვის) ასე გამოიყურება:

აწმყო

A. (S, Od. Oind.)

S/ Oind.	1s.	2 s.	3 s.	1 pl.	2 pl.	3 pl.
1s.	--------	გიშენებ	ვუშენებ	-------	გიშენებთ	ვუშენებ
2 s.	მიშენებ	------	უშენებ	გვიშენებ	-------	უშენებ
3 s.	მიშენებს	გიშენებს	უშენებს	გვიშენებს	გიშენებთ	უშენებს
1 pl.	-------	გიშენებთ	ვუშენებთ	------	გიშენებთ	ვუშენებთ
2 pl.	მიშენებთ	-------	უშენებთ	გვიშე-ნებთ	--------	უშენებთ
3 pl.	მიშენებენ	გიშენებენ	უშენებენ	გვიშენე-ბენ	გიშენებენ	უშენებენ

ქართულ ჟესტურ ენაში ეს მიმართებები კინეტიკურადაა გადმოცემული. ჩვენ აქ განვიხილავთ ოდენ მხოლობითი ფორმების კომბინაციას, რადგანაც იგივე მიმართულებები იქნება შესაბამისი მრავლობითის ფორმებისთვისაც. განვიხილოთ ზმნა 'გაკრიტიკება' ამ თვალსაზრისით.



გაკრიტიკება

S/ Oind.	1s.	2s.	3s.
1s.	----------	 გაკრიტიკებ	 ვაკრიტიკებ
2s.	 მაკრიტიკებ	----------	 აკრიტიკებ
3s.	 მაკრიტიკებს	 გაკრიტიკებს	 აკრიტიკებს

როგორც ვხედავთ, აქ შვიდი ფორმაა წარმოდგენილი და ეს ფორმები განასხვავებენ მანუალურ კინეტიკას ობიექტის მიხედვით. იგივე ტიპის კომბინაციას ექნება ადგილი ყველა ინკორპორირებულ ზმნაში. ზმნაში 'ვეუბნები' ასევე კინეტიკურად განირჩევა სუბიექტიც, როგორც მოქმედების საწყისი. ობიექტი კი წარმოდგენილია როგორც მიზანი, ანუ მოქმედების მიმართების ბოლო პუნქტი:

S/ Oind.	1s.	2s.	3s.
1s.	----------	 გეუბნები	 ვეუბნები
2s.	 მეუბნები	----------	 ეუბნები
3s.	 მეუბნება	 გეუბნება	 ეუბნება

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, პირველი ობიექტური პირის შემთხვევაში ხელი მიემართება სხეულისკენ (იხ. პირველი ვერტიკალური სვეტი), მეორე ობიექტური პირის წარმოსაჩინებლად ხელი მიმართულია წინ (იხ. მეორე ვერტიკალური სვეტი) და მესამე ობიექტური პირის გადმოსაცემად კი ხელი მიმართულია გვერდით (იხ. მესამე ვერტიკალური სვეტი).

პირველი პირის სუბიექტის გადმოსაცემად, ხელი სხეულიდან მიემართება (იხ. პირველი ჰორიზონტალური სვეტი). მეორე პირის შემთხვევაში სხეულის წინ ახლომდებარე სივრცეა გააზრებული მეორე ანუ კომუნიკატორი პირის ლოკაციად და ხელი ამ ადგილიდან მიემართება ობიექტისკენ (იხ. მეორე ჰორიზონტალური სვეტი). ხოლო მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში გვერდიდან ხდება მოქმედების კინეტიკის დაწყება (იხ. მესამე ჰორიზონტალური სვეტი).

მოცემულ ცხრილებში, ფაქტობრივად, კინეტიკურად წარმოდგენილია ობიექტის და სუბიექტის მარკირება. ობიექტისკენ მიმართულია სუბიექტიდან წამოსული დინამიკა, ანუ სუბიექტი საწყისია, ხოლო ობიექტი არის მიზანი, ანუ ზმნის მოქმედების დანამიკური ფაზების ბოლო პუნქტი.

ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმიდან ჩანს, რომ ჟესტური ზმნა განასხვავებს სივრცით მარკირებას – პირველი პირი გადმოიცემა სხეულთან ახლოს განთავსებული და სხეულისკენ მიმართული ხელით, ასევე სხეულისკენ მიმართული თითებით; მეორე პირი გადმოიცემა სხეულის წინ მიმართული ხელით და იმავე მიმართულების თითებით; ხოლო მესამე პირი კი გადმოცემულია გვერდით მიმართული ხელით და იმავე მიმართულების თითებით. ეს პარამეტრები – ხელისა და თითების მიმართულება (ცხადია, აქვე შესაბამისად შეიცვლება ხელისგულის მიმართულებაც) ერთი კონფიგურაციის ფარგლებში, შესაძლოა, გავიაზროთ როგორც ზმნის პირის ნიშნები. საგულისხმოა, რომ სუბიექტი და ობიექტი ამ თვალსაზრისით არ სხვაობს. ერთადერთი რაც სუბიექტურ პირს ობიექტურისგან განასხვავებს ეს არის ის, რომ სუბიექტი არის მოქმედების საწყისი და ობიექტი კი – მიზანი, ანუ ბოლო პუნქტი. აქვე უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ირიბ ობიექტს აქვს დამატებითი მარკერები, რაზეც ადრე

მქონდა საუბარი (მახარობლიძე 2015). ამრიგად, ქართულ ჟესტურ ენაში სუბიექტი კარგადაა გამიჯნული ობიექტისგან, ხოლო პირის რომელობის ზემოთ აღწერილი მოცემულობები კი მყარი და უნივერსალური პარამეტრებია ზოგადად ჟესტური ენებისთვის – დედუქციური მიდგომით.

აქვე წარმოვადგენთ 'ყოფნა' ზმნის ფორმებსაც. პირის მიხედვით ეს ზმნა (როგორც ყველა არაინკორპორირებული ზმნა) არ განასხვავებს ფორმებს:



ვარ /არის

ეს უკანასკნელი საზიარო ფორმაა ასევე 'ქონა-ყოლა' ზმნათათვისაც.



ვიქნები /იქნება

ამ ზმნას (*ვიქნები*) აქვს ლექსიკურად განსხვავებული უარყოფითი ფორმა. სხვა შემთხვევაში 'ყოფნა' ზმნას დაერთვის უარყოფითი ნაწილაკი 'არა'.




არ ვიქნები /არ იქნება



ვიყავი /იყო

როგორც უკვე წინა თავში მოყვანილ მაგალითებში ვნახეთ, ეს ზმნა (*ვიყავი / იყო*) ხშირად გამოიყენება წარსული დროის უარყოფითი ფორმების საწარმოებლად (იხ. თავი ნეგაციის შესახებ).




ვყოფილვარ /ყოფილა

როგორც ვხედავთ, ეს ფორმა ისპილატერალურია. ეს უკანასკნელი ფორმა კავშირებითი კილოს საწარმოებლადაც გამოიყენება, ასევე იგი წარმოდგენილია თურმეობითის ფორმებშიც (იხ. თავი „დრო, ასპექტი და კილო ქართულ ჟესტურ ენაში“).

ეგზისტენციალური (‘ყოფნა’) და პოსესიური (‘ქონა’/‘ყოლა’) ზმნათა ერთიან პარადიგმას, სადაც ნათლად ჩანს ფორმათა იდენტური ერთეულებიც და უარყოფითი წარმოებაც:

დრო - კილო/ ზმნა	ყოფნა	არ ყოფნა
აწმყო	ვარ	არ ვართ
მყოფადი	ვიქნები	არ ვიქნები
ნამყო	ვიყავი	არ ვიყავი
I თურმეობითი	ვყოფილვარ	არ ვყოფილვარ

ქონა/ყოლა	არქონა/არყოლა
 მაქვს /მყავს	 არ მაქვს / არ მყავს
 მექნება/მეყოლება	 არ მექნება/არ მეყოლება
 იყო+არის მქონდა/მყავდა	 იყო+არა+არის+არა არ მქონდა/არ მყავდა
 მქონია /მყოლია	 არ მქონია/არ მყოლია

ამრიგად, ქართული ჟესტური ენის ზმნის პარადიგმაში აქტანტების მორფოლოგიური მარკირება ხდება სამი სახით:

1. დეიქტიური მარკირება (იხ. ინკორპორირებული ზმნის პარადიგმა);
2. დესტინაციური მარკირება სემანტიკური კონტენტით (იხ. ვერსიის კატეგორია, პატივისცემითი და უპატივცემლო ფორმების გამოხატვა და ირიბი ობიექტის მარკირება);
3. მორფო-სინტაქსური მარკირება – არსებითი სახელით გადმოცემული აქტანტებისთვის ბრუნვის ნიშების დართვა. ტრანზიტული ზმნის სუბიექტი აორისტში გამოხატულია ერგატივით, დანარჩენ შემთხვევებში სუბიექტი ნომინატიურ ანუ არამარკირებულ, ნულოვან ბრუნვაშია, ირიბი ობიექტი კი მარკირებულია მიცემითი ბრუნვის ფარდი დეიქტიური მარკერით და აქ ადგილი აქვს აქტანტთა მარკირების პირველი და მესამე ტიპების კომბინირებას.

ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება აქტანტთა მორფოლოგიური მარკირების ზემოთ მოცემული სამი ტიპის სხვადასხვა სახის კომბინირება.


ვერსიისა და კაუზაციის კატეგორიები ქართულ ჟესტურ ენაში

ზმნურ აქტანტებთან დაკავშირებით, აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ჟესტური ენა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოიყოს ვერსიის კატეგორია. რაც შეეხება ქართული სამეტყველო ზმნის ვერსიის კატეგორიას, მას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა (შანიძე 1926, 1980; დეეტერსი 1930; როგავა 1942; ჩიქობავა 1950, 1952; ქავთარაძე 1954; ერთელიშვილი 1965; შმიტი 1965: ფეინრიხი 1965; ბოედერი 1968, 2003; ფოგტი 1971; ნებიერიძე 1976; ჰარისი 1978, 1981, 1982; არონსონი 1982; ჯორბენაძე 1983; არაბული 1984; ასათიანი 1987; დამენია 1982, 2003; ლომთათიძე 1947 მაჭავარიანი 1987; პაიჭაძე 1993; ჰუიტი 1995, 2005; ჩერჩი 1997; მელიქიშვილი 2000; კვაჭაძე 2001; უთურგაიძე 2002; მელიქიშვილი 2002; ონიანი 2003; მაჭავარიანი 2006; მახარობლიძე 2007, 2009, 2010; ტუიტი 2008; ანდერსენი, გურევიჩი 2012) და სხვ. ქართული სამეტყველო ენის კატეგორიისაგან განსხვავებით, ვერსიის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში ნაკლებად არის შესწავლილი.

ვფიქრობთ, რომ ზმნური აქტანტების, განსაკუთრებით კი ირიბი ობიექტის, მრავალფეროვანი მარკირება იძლევა ამ კატეგორიის გამოყოფის საფუძველს ქართულ ჟესტურ ენაში.

წარმოგიდგენთ ვერსიის კატეგორიის მოდელს ამ ენაში:

მოდელი I.



ობიექტური ვერსიის შიგნით ფორმათა ამ ტიპის დიფერენციაცია არ არის ორიგინალური ქართულ ჟესტურ ენაში. ნ. მაჭავარიანის მიხედვით, იგივე მოდელი არსებობს სამეტყველო აფხაზურშიც (მაჭავარიანი 2006), სადაც არის სასარგებლო და საზიანო (ბენეფაქტიური და მალეფაქტიური) საოპოზიციო ფორმები ობიექტური ვერსიის. ქ. ლომთათიძე წერს სამეტყველო აფხაზურში ამავე სახის ქვეოპოზიციის კონტენტის შესახებ ობიექტური ვერსიის ფარგლებში (ლომთათიძე 1947). აღსანიშნავია, რომ მას აფხაზური ზმნის რეფლექსივის ფორმები არ მიაჩნია სუბიექტური ვერსიის ფორმებად.


ვერსიის კატეგორიას ქართულ ჟესტურ ენაში არ გააჩნია თავისებური ფორმები. ამ ენაში ყველა ზმნა ერთ მოდელს მიჰყვება. ვერსიის კატეგორიის გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობების საოპოზიციო ფორმების გადმოსაცემად ქართული ჟესტური ენა სპეციალურ ჟესტებს გამოიყენებს.

ქვემოთ მოყვანილი ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი არის ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების გამომხატველი ჟესტი, რომელიც დამოუკიდებლად ნიშნავს „პატივისცემას“. ამ ჟესტით გამოხატული ვერსია უჩვენებს პატივისცემას ირიბი ობიექტის მიმართ.



ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების მარკერი

ეს არის ჟესტი გაშლილი ცერით და ნეკით, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ხელისგული მიემართება სხეულისკენ, ჟესტის მოძრაობის ვექტორი კი მიემართება წინ და ზემოთ. ერთხელიანი იგივე ნიშანი გამოიყენება ირიბი ობიექტის გადმოსაცემად:




ირიბი ობიექტის ნიშანი

ზემოთ მოყვანილი ჟესტი გამოიყენება ირიბი ობიექტის მნიშვნელობის გადმოსაცემად ნაცვალსახელის მაგივრად. ეს ჟესტი მიემართება ირიბი ობიექტისკენ. როცა ზმნაში არის ეს მარკერი, მაშინ იქ ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ჟესტი აღარ არის წარმოდგენილი. ჟესტურ ენათათვის დამახასიათებელი ლაკონიზმის პრინციპიდან გამომდინარე, არც ერთი ჟესტური ენა არ უშვებს რეფერენტთა სიჭარბეს. ობი-

ექტის ნიშნების არსებობა ათავისუფლებს სიტყვათა რიგს ქართულ ჟესტურ ენაში.

ობიექტურ ვერსიას შეიძლება ჰქონდეს პატივისცემითი ან უპატივცემლო ფორმები. უპატივცემლო ფორმების მარკერი არის ერთხელიანი, ორფაზიანი დინამიკური ჟესტი წინ გაშლილი საჩვენებელი და ნეკი თითებით, დანარჩენი თითებით კი შეკრულია მუშტი. ხელისგული მიმართულია ქვემოთ. ჟესტის დინამიკა განთავსებულია მკერდის დონეზე და წინ მიემართება.



ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმების მარკერი

შეადარეთ შემდეგი ფორმები:




ვუკეთებ (მე მას მას)



ვუკეთებ (მე მას მას)


ჩვენ გააზრებულად წარმოვადგენთ მხოლოდ ზმნის ფორმებს შესაბამისი ნაცვალსახელების – ზმნის პირების გარეშე. მეოთხე სურათზე პირველ ორ ფოტოზე ასახულია ზმნა *კეთება* – ძირითადი ლექსიკური ფორმა, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოებზე წარმოდგენილია ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ჟესტები. მეხუთე სურათზე წარმოდგენილია იგივე ზმნა ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმებით. უპატივცემლობის მარკერი წარმოდგენილია მესამე და მეოთხე ფოტოებზე. ეს ბოლო ფორმა ნიშნავს შემდეგს – მე ვუკეთებ რაღაცა უსიამოვნოს, უპატივცემლოს მას – ირიბ ობიექტს.

სუბიექტური ვერსიის მარკერი, რომელიც ხშირად ჩნდება ზმნის ლექსიკური ჟესტის წინ, არის ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტი მარჯვენა დომინანტური ხელით, მკერდის დონეზე სხეულის პარალელურად განთავსებული, ზემოთ მიმართული ღია ხელისგულით და პასიური პოზიციის მარცხენა ხელის ასევე ზემოთ მიმართული ხელისგულით. პირველ ფაზაში მარჯვენა ხელი დაცილებულია პასიური ხელის პოზიციას. მეორე ფაზაში კი მარჯვენა ხელის ცერა თითი საჩვენებელი და შუა თითების წვერებს ეხება და ხელი მარცხენა ხელისგულს ზემოდან ედება. ეს მარკერი, როგორც დამოუკიდებელი ჟესტი, ნიშნავს სიტყვას „საკუთრება“.



სუბიექტური ვერსიის მარკერი

უმეტეს შემთხვევებში ზმნის პირები ნაცვალსახელებითაა წარმოდგენილი. ეს ასევე შესაძლოა, იყოს ჟესტური მეტსახელები ან ქართული დაქტილური ანბანით წარმოდგენილი საკუთარი სახელები. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართების ნიშანი მოჰყვება ირიბ ობიექტს. მიმართების ნიშანი ასე გამოიყურება:



მიმართების ნიშანი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი ჟესტი წინ გაშვერილი საჩვენებელი თითით, დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკ-

რული და ხელისგული ქვემოთ მიემართება. ეს ნიშანი ზმნის მორფოლოგიურ პირთათვის გადმოსცემს დატივის შინაარსს. როდესაც ზმნის პირები ნაცვალსახელებითაა წარმოდგენილი, ამ ჟესტის საჭიროება მოხსნილია. ქართული ჟესტური ენა უპირატესობას ანიჭებს მიმართების ნიშნის გამოყენებას საზოგადო ან დაქტილით წარმოდგენილი საკუთარი სახელებით გადმოცემული ზმნის პირების ასახვისას. თუმცა ზოგჯერ დაქტილით წარმოდგენილი საკუთარი სახელების შემთხვევაში შესაძლოა მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-ს) იყოს დაქტილით წარმოდგენილი – სამეტყველო ქართული ენის კალკირებისას.


ქვემოთ მოყვანილ ფორმებში ჩვენ გააზრებულად ვარიდებთ თავს ზმნის პირების წარმოჩენას და წარმოვადგენთ მხოლოდ სუბიექტსა და ზმნას, რათა მეტი ყურადღება გავამახვილოთ უშუალოდ ვერსიის კატეგორიაზე. ერთმანეთს შევადაროთ ქვემოთ მოყვანილი ფორმები:



მე ვაშენებ მას


მე ვაშენებ მას ეს არის ნეიტრალური ვერსია, აღუნიშნავი ანუ არამარკირებული ფორმა. პირველი გრაფიკული ნახატი გვიჩვენებს ნაცვალსახელით გადმოცემულ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტს – მე. ხშირად ამ ტიპის

ფორმებში ეს ნაცვალსახელი გამოტოვებულია, რამდენადაც უნივერსალურია, რომ სხეული აღნიშნავს სუბიექტს (მიირი 2006). მეორე და მესამე ნახატებზე წარმოდგენილია შენება ზმნის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსიკური ჟესტი. აქ არ არის წარმოდგენილი სამეტყველო ენის შესაბამისი ვერსიის საოპოზიციო ფორმის ნიშანი. ნეიტრალური ვერსიის ნიშანი ჟესტურს აქ მოეპოვება. ეს არის ნულოვანი ფორმა.




მე ვიშენებ მას

მე ვიშენებ მას ეს არის სუბიექტური ვერსია და მეოთხე და მეხუთე გრაფიკული ნახატები ასახავენ სუბიექტური ვერსიის ნიშანს.




მე ვუშენებ მას მას

მე ვუშენებ მას მას ეს არის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეოთხე და მეხუთე გრაფიკული ნახატები ასახავენ ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების ნიშანს.



მე მას ვუშენებ მას

მე ვუშენებ მას მას ეს არის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეორე გრაფიკული ნახატი გადმოსცემს მესამე პირის ირიბ ობიექტს მხოლობით რიცხვში. მესამე და მეოთხე ნახატები გამოსახავენ ამ ზმნის ძირითად ლექსიკურ შინაარსს, ხოლო მეხუთე და მეექვსე გრაფიკულ ნახატებზე წარმოდგენილია ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმების მარკერი.



მე ვწერ მას

ვწერ (მე მას) ეს არის ორპირიანი გარდამავალი ზმნა ნეიტრალური ვერსიის ნულოვანი მარკირების ფორმით. მეორე და მესამე ფოტოებზე პანტომიმური მრავალფაზიანი ჟესტით გამოხატულია წერა ზმნის ძირითადი ლექსიკური შინაარსი და ბოლო მეოთხე ფოტოზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჟესტური ენა პირველი პირის მხოლობითი რიცხვის სუბიექტსა და მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირ ობიექტს იშვიათად გადმოსცემს. ამრიგად, ზემოთ მოცემული ფორმის შინაარსის წარმოდგენა მხოლოდ მეორე და მესამე ფოტოებითაც არის მისაღები.



მე ვწერ მას მას

ვწერ (მე მას მას) ეს არის ნეიტრალური ვერსის სამპირიანი გარდამავალი ზმნა, აღუნიშნავი ფორმა. ბოლო ორი ფოტო გამოხატავს პირდაპირ და ირიბ ობიექტებს.



მე ვაწერ მას მას

ვაწერ (მე მას მას) ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის საზედაო ფორმა. ქართულ ჟესტურ ენაში საზედაოს არ გააჩნია თავისი რეფერენტი. ყველა ზმნა მისი კინეტიკისთვის მოსახერხებელ ფორმას გამოიყენებს საზედაოს შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად. მესამე და მეოთხე ფოტოებზე ასახულია სუპერესივის (საზედაოს) კონტენტი, ხოლო ბოლო ფოტო კი გვიჩვენებს ირიბ ობიექტს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მესამე პირის მხოლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტის ასახვა არაობლიგატორულია ენაში.



მე ვიწერ მას

ვიწერ (მე მას) – არის ორპირიანი გარდამავალი ზმნის სათავისო ვერსიის ფორმა. სათავისო ქვევის ნიშანი წარმოდგენილია მეოთხე და მეხუთე ფოტოებზე ორფაზიანი ჟესტით, რომელსაც მოჰყვება ბოლო, მეექვსე ფოტოზე გამოსახული პირდაპირი ობიექტის ამსახველი ჟესტი. სათავისო ქცევის მარკერი ზოგჯერ ზმნის ძირითადი ლექსიკური ჟესტის წინაც გვხვდება, როგორც ეს წარმოდგენილია შემდეგ სურათზე:



მე ვიწერ მას

ვიწერ (მე მას) – ამ ფორმაში სუბიექტური ვერსიის მარკერი მეორე და მესამე ფოტოებზეა წარმოდგენილი. ის პირდაპირ მოჰყვება სუბიექტის ამსახველ ჟესტს და წინ უძღვის ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ჟესტს.



მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეორე და მესამე ფოტოებზე გამოსახული ირიბი ობიექტის ერთხელიანი ჟესტით გადმოცემული მარკერი მოჰყვება სუბიექტის ჟესტს და წინ უძღვის ბოლო ორ ფოტოზე აღბეჭდილ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ჟესტს. ირიბი ობიექტის ასეთი მარკირება მო-

იაზრებს ობიექტური ვერსიის კონტენტს, რამდენადაც გამოხატავს დაინტერესებულ ირიბ ობიექტს, და აქ უკვე აღარ გვაქვს ამ ვერსიის შესაბამისი ნიშანი – ორხელიანი სიმეტრიული ჟესტი.



მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის ფორმა. ირიბი ობიექტის გამომსახველი ჟესტი მოჰყვება სუბიექტის ჟესტს და მეორე ფოტოზეა მოცემული. ბოლო ორი ფოტო კი ასახავს ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების მარკერის ორხელიან სიმეტრიულ ჟესტს.



მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმა, სადაც ირიბი ობიექტის ჟესტი მოჰყვება პირველ სურათზე ასახულ სუბიექტს და ბოლო ორ სურათზე წამოდგენილია ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმის მარკერი.

ქართულ ჟესტურ ენაში ვერსიის სემანტიკური კატეგორია კარგად არის გაფორმებული სათანადო მარკერებით – ამ შემთხვევაში ჟესტებით. გასტელო წერს ამერიკული ჟესტუ-

რი ენის შესახებ „ბევრ შემთხვევაში ინგლისურ ენაში აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობების რეალიზება ამერიკულ ჟესტურ ენაში ხერხდება სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებელი ჟესტებით“ (გასტელო 1994:XX). იგივე სახის მოვლენა გვაქვს, როდესაც ქართულ ჟესტურ ენაში ადგილი აქვს ქართული სამეტყველო ენიდან ვერსიის კატეგორიის კოპირებას – თავს იჩენს კატეგორიის საოპოზიციო ფორმების ამსახველი დამოუკიდებელი, ოდენ გრამატიკული მნიშვნელობის ჟესტები, როგორც კატეგორიის კინეტიკური მარკერები. ეს ჟესტები, უმეტეს შემთხვევაში, უკან მოსდევს ზმნის ძირითადი ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელ ფორმა-ჟესტს. მხოლოდ სასუბიექტო ვერსიის ნიშანი შეიძლება ზოგჯერ წინ უძღოდეს კინეტიკურ ლექსიკურ ერთეულს.

ქართულ ჟესტურ ენას ქართული სამეტყველო ენიდან გადმოაქვს ვერსიის სამგანზომილებიანი კატეგორიის ძირითადი სემანტიკა და უმატებს მას ობიექტური ვერსიის ორი ტიპის ფორმებს – პატივისცემით და უპატივცემლო ფორმათა შიდა ოპოზიციას. რამდენადაც ქართული ჟესტური ენა არ განასხვავებს გვარის კატეგორიას, შესაბამისად, არანაირი სხვაობა არ არსებობს ქცევის კატეგორიის შიგნით გვარის თვალსაზრისით. ვერსიას ჟესტურში აქვს კატეგორიის უნიფიცირებული, საერთო მოდელი ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე. ქართულ ჟესტურ ენაში ყველა ზმნას აქვს ვერსიული ფორმების ერთიანი სისტემა და აქ არა გვაქვს კატეგორიის თავისებურებები.

ქართულ სამეტყველო ენაში საკმაოდ საინტერესო სხვაობაა ფორმათა შორის ვერსიის კატეგორიის მარკირებაში. ეს მარკერები არის პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსები. ქართულ ჟესტურ ენაში კი ეს ძირითადად სუფიქსური პოზიციის კინეტიკური მარკერებია და ზმნის ძირითადი ლექსიკური

ერთეულის შემდგომი პოზიცია უკავიათ (ზემოთ აღნიშნული მცირე გამონაკლისის გარდა).

ა. კენდონის მიხედვით (კენდონის 1944) არსებობს სამი ტიპის ჟესტი:

1. იკონური ჟესტები, რომლებიც ობიექტს, მოქმედებას ან აღწერილ ფენომენს ასახავენ;
2. მეტაფორული ჟესტები, რომლებიც ზოგად მეტაფორებს წარმოადგენს;
3. დეიქტიური ანუ მიმათითებელი ჟესტები.


ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ობიექტური ვერსიის მარკერები წარმოგვიდგება როგორც კომბინირებული სახის ჟესტები. ადგილი აქვს მეტაფორული და დეიქტიური ტიპების კომბინაციას, რამდენადაც პირველადი სემანტიკური კონტენტის გარდა ეს ჟესტები ასევე მიემართება ირიბი ობიექტისკენ. რაც შეეხება სუბიექტური ვერსიის ჟესტს, ეს არის მეტაფორული ჟესტი.

ძალიან ხშირად ჟესტური ენებიდან სამეტყველო ენებზე ზმნები ითარგმნება ინფინიტივის ფორმით. თავის წიგნში „ამერიკული ჟესტური ენა“ ჩ. ბეიკერ-შენკი და დ. კოკელი წერენ მიცემა ზმნის შესახებ: „ინგლისური ენისგან განსხვავებით ეს ზმნა იშვიათად ნიშნავს „მიცემას“. ამის ნაცვლად ზმნის თითოეული ფორმა ძირითადად შეიცავს სუბიექტსა და ობიექტს. სამწუხაროდ, ამ ტიპის მიმართულებითი ზმნების გადმოტანა უმეტესი ჟესტური ენებიდან ხდება ინფინიტივით, რაც ქმნის ყალბ შთაბეჭდილებას – თითქოს ეს ინგლისური ინფინიტივის მსგავსი ფორმებია (მაგალითად, როგორიცაა ფორმა „მიცემა“). ეს ზმნები უნდა განიხილებოდეს თავისი ზმნური პირებით“ (ბეიკერ-შენკელი 1991:248). ქართული ენის სისტემისთვის ამ ტიპის ფორმათა პოლიპერსონალური

გაგება ბუნებრივი მიდგომაა და ასეთი ზმნები მუდამ შესაბამისი პოლიპერსონალური ფორმით გადმოდის სამეტყველო ენაში, მიუხედავად იმისა, რომ მორფოლოგიური მარკირება დამოუკიდებელი ჟესტებით ხდება ენაში.

საერთოდ, ჟესტურ ენებში ზმნები პოლიპერსონალურია იქაც კი, სადაც ასეთი პოლიპერსონალიზმი არ არსებობს შესაბამის სამეტყველო ენებში. ვერსიის კატეგორია, როგორც პოლიპერსონალური ზმნის კატეგორია, ეყრდნობა ქართული სამეტყველო ენის პოლიპერსონალური ზმნის სისტემას და, შესაბამისად, არანაირი მორფოლოგიური პრობლემა არ არსებობს ვერსიის ფორმათა ადეკვატური თარგმანისთვის ჟესტურიდან სამეტყველო ენაზე.

აქვე უნდა შევეხოთ კაუზაციის მორფოლოგიურ კატეგორიასაც, როგორც ზმნურ აქტანტებთან უშუალოდ დაკავშირებულ მოვლენას. კაუზაცია აქტიური ირიბი ობიექტის მორფოლოგიური კატეგორიაა. ქართულ ჟესტურ ენაში მას გააჩნია თავისი ნიშანი:



კაუზაციის მარკერი

ეს არის ორხელიანი იკონური ჟესტი – ბრძანების იკონიკა გადმოცემულია ძახილის ნიშნის ფორმით. ზოგჯერ ეს მარკერი ერთხელიანი ფორმითაც გვაქვს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟესტის ეროზიის მოვლენას და გრამატიკალიზაციის პროცესს. ეს ჟესტი რომ მორფემული ხასიათისაა, ამაზე

მიუთითებს მისი დელექსიკალიზაცია და მისი პოსტვერბალური ობლიგატორული პოზიცია.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ერთმანეთს შევადაროთ უშუალო და შუალობითი კაუზაციის ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში:



მე ვაკეთებ (მას)




მე ვაკეთებინებ მას მას

ამ ფორმაში კეთება ზმნის შემდეგ მოდის კაუზაციის ნიშანი.

ამრიგად, კაუზაცია, ქცევასთან ერთად, არის ზმნური აქტანტური მორფოლოგიური კატეგორია თავისი მარკერით და კერძო გრამატიკალიზაციის პროცესით.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება ვერსიის კატეგორიის ასეთი მოდელი:



- ქართული ჟესტური ენა არ ახდენს ვერსიის კატეგორიის კოპირებას ქართული სამეტყველო ენიდან. ქართული ჟესტური ენა ამდიდრებს სამეტყველო ენის ვერსიის სამგანზომილებიან სისტემას ობიექტური ვერსიის ორი ტიპის ფორმით – პატივისცემითი და უპატივცემლო. ჟესტურში ამ კატეგორიის მიხედვით არა გვაქვს თავისებური ფორმები.
- სამეტყველო ენისგან განსხვავებით ქართული ჟესტური ენა არ განასხვავებს გვარის კატეგორიას და ამიტომაც აქ არის ვერსიის კატეგორიის უნიფიცირებული მოდელი.
- ქართული ჟესტური და სამეტყველო ენები ვერსიის კატეგორიაში სხვაობას გვიჩვენებს მარკირების თვალსაზრისით. ქართული სამეტყველო ენა ამ კატეგორიას პრეფიქსული მარკირებით აღწერს, ხოლო ჟესტური კი სუფიქსური კინეტიკური მარკირებით გადმოსცემს იმავე სემანტიკას.
- რაც შეეხება კაუზაციის მოდელს, ქართული ჟესტური ენა ეროზიის პროცესში მყოფი იკონური მორფემული ჟესტით გადმოგვცემს ამ გრამატიკულ შინაარსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანდერსენი, გურევიჩი 2012: Anderson, Gregory & Gurevich, Olga. (access: 2012) „Towards a Typology of Version: Formal and Functional Perspectives". U Oregon / MPI-EVA, Leipzig and UC Berkeley http://www.livingtongues.org/docs/CLSpaper%20copy.pdf pp.1-15 (accessed 1 June 2012)
- არაბული 1984: ავთანდილ არაბული, მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ქართულში. თბ., მეცნიერება 1984
- არონსონი 1982: Aronson, Howard. Georgian. A Reading Grammar. University of Chicago. Chicago. 1982.
- ასათიანი 1987: რუსუდან ასათიანი, „ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში" მაცნე #3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1987 გვ.198-204
- ბეიკერ-შენკი, კოკელი 1991: Baker-Shenk, Charlotte & Cokely, Dennis. 1991. American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C.
- ბოედერი 1968: Boeder, Winfried. „Über die versionen des Georgischen Verbs". Follia Lingusitica. #2, 1968. pp. 82–152
- ბოედერი 2003: Boeder, Winfried. „The South Caucasian languages". Universita¨t Oldenburg, Fakulta¨ t 3, Oldenburg 26111, Germany. (Received 16 June 2003; accepted 16 June 2003) ELSEVIER. Lingua 115 (2005) 5–89 http://www.uni-jena.de/unijenamedia/Downloads/faculties/phil/kaukasiologie/South%2BCaucasian-EGOTEC-9fffqnimr809oq8vdmg80eckr6.pdf (accepted 1 June 2012) 2003.
- გოსტელო 1994: Costello, Elaine. American Sign Language

Dictionary. Random House. NY., 1994.

- დამენია 1982: მერი დამენია, ქართული ზმნის სტრუქტურული მოდელები. თბ., 1982 1982.
- დამენია 2003: მერი დამენია, „ვერსია (ანუ ქცევა) როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია“ ენათმეცნიერების საკითხები #1. თსუ, თბ., 2003 გვ.73-90.
- დეეტერსი 1930: Deeters, Gerhard. „Das Kharthwelishe verbum“. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen. Leipzig. 1930.
- ერთელიშვილი 1965: ფარნაოზ ერთელიშვილი, „ქცევის კატეგორიისათვის ქართულში“ თსუ შრომები #114. თბ., 1965 გვ. 177-198
- კენდონი 1994: Kendon, Adam. 1994. „Human Gestures“ In: K.R. Gibson and T. Ingold (ed.) Tools, Language and Cognition in Human Evolution. Cambridge: Cambridge University Press. 1994.
- კვაჭაძე 2001: ლეო კვაჭაძე, ქართული ენა. რუბიკონი, თბ., 2001
- ლომთათიძე 1947: ქეთევან ლომთათიძე, „ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში“ თსუ შრომები XXXb-XXXIb. გვ. 411-419, 1947
- მაჭავარიანი 1987: მაია მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის სემანტიკა. მეცნიერება. თბ., 1987.
- მაჭავარიანი 2006: ნანა მაჭავარიანი, სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში. ინტელექტი, თბ., 2006
- მახარობლიძე 2009: თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები ტ. I, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპარტიარქოს უნივერსიტეტი, თბ., 2009
- მახარობლიძე 2010: თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური

წერილები ტ. II, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპარტიარქოს უნივერსიტეტი, თბ., 2010

- მახარობლიძე 2007: თამარ მახარობლიძე, ბასკური და ქართველური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბ., 2007
- მახარობლიძე 2012: თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save Children International. თბ., 2012
- მიირი, პადენი, არონოფი, სანდლერი 2006: Meir, Irit; Padden, Carol; Aronoff, Mark; Sandler, Wendy. Re-Thinking sign language verb classes: The body as subject. Sign Languages: spinning and unraveling the past, present and future. TISLR9, forty five papers and three posters from the 9th. Theoretical Issues in Sign Language Research Conference, Florianopolis, Brazil. 2006.
- მელიქიშვილი 2000: დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა. ლოგოსპრესი, თბ., 2000.
- მელიქიშვილი 2002: ირინე მელიქიშვილი, „ქცევა როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვა ქართულში". ენათმეცნიერების საკითხები #4. თსუ, თბ., 2000 გვ. 120-131
- ნებიერიძე 1976: გივი ნებიერიძე. „ქცევის კატეგორია ქართულში" საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ელს #4. თბ., 1976. გვ. 132-145
- ონიანი 2003; ალექსანდრე ონიანი, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია) სულხან-საბა ორბელიანის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, თბ., 2003
- პაიჭაძე 1993: მანანა პაიჭაძე, „რეფლექსურობისა და ქცე-

ვის (ვერსიის) კატეგორიები თანამედროვე გერმანულ ენაში". საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ელს #4 თბ., 1993. გვ. 175-186


- როგავა 1942: გიორგი როგავა, „კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვაში)" საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.3 #2. თბ., 1942. გვ. 207-212
- ტუიტი 2008: Tuite, Kevin. Early Georgian. In: The Ancient Languages of Asia Minor. Edited by Roger D. Woodard. Cambridge MA: Cambridge University Press. 2008. pp. 145-165
- უთურგაიძე 2002: თედო უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბ., 2002
- ფეინრიხი 1965: Fänrich, Heinz. 1965. „Die Function des charactervokals im georgischen verb". In: WZ der FSV Jena. H.1. pp.153-157
- ფოგტი 1971: Vogt, Hans. Grammaire de la langue Géorgienne. Oslo: Universitetsforlaget. 1971.
- ქავთარაძე 1954: ივანე ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ქართულში. თბ., 1954
- შანიძე 1980: აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია თსუ, თბ., [1953], 1980
- შანიძე 1926: აკაკი შანიძე, „ქართული ზმნის საქცევი" თსუ მოამბე, ტომი VI (ფრანგული რეზიუმეთი - Versions du verbe Géorgien. pp.334-338) თბ., 1926, გვ. 312-333
- შმიტი 1965: Schmidt, Karl. „Indogermanisches Medius und Sataviso in Georgischen". Bedi kartlisa. No.48-49. Vol.XIX-

XX. Revue de Kartvélologie. Paris. 129-135; Mimomxilveli, No.6-9. (1969-1972). Tbilisi. 1965. pp. 301-305

- ჩერჩი 1997: Cherchi, Marcello. 1997. Modern Georgian Morphosyntax. A Grammatico-categorical Hierarchy-Based Analysis with Special Reference to Indirect Verbs and Passives of State. Harrassowitz, Wiesbaden. Germany. 1997
- ჩიქობავა 1950: არნოლდ ჩიქობავა, „ქართული ენის ზოგადი დახასიათება". ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ქეგლ, ტომი I. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემები. თბ., 1950 გვ.018-080
- ჩიქობავა 1952: არნოლდ ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერების შესავალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 1952.
- ჯორბენაძე 1983: ბესარიონ ჯორბენაძე, ზმნის ხმოვან-პრეფიქსული წარმოება ქართულში. თსუ, თბ., 1983
- ჰარისი 1981: Harris, Alice C. Georgian syntax: a study in relational grammar. Cambridge: Cambridge University Press. 1981.
- ჰარისი 1978: Harris, Alice C. „Number Agreement in Modern Georgian. The Classification of Grammatical Categories" (International Review of Slavic Linguistics vol. 3.No.1-2. ed. By Anthony Vanek.. 1978. pp.75-98.
- ჰარისი 1982: Harris, Alice C. „Georgian and the unaccusative hypothesis". Language. Vol. 58, No. 2 Published by: Linguistic Society of America. (Jun., 1982). pp 290-306.
- ჰუიტი 1995: Hewitt, George B.. Georgian: a structural reference grammar. Amsterdam: John Benjamins. 1995
- ჰუიტი 2005: Hewitt, George B. Georgian: A Learner's Grammar ISBN 0415 333709 9 (hbk) 1996 Routlege. Second Ed. 2005[1996].

დრო, ასპექტი და კილო ქართულ ჟესტურ ენაში

ქართულ ჟესტურ ენას აქვს თავისი დროის სისტემა. საერთოდ, ჟესტური ენები სივრცითი და დროითი ერთეულების მიმართ თავის სპეციფიკურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ. მოქმედების შესრულების დრო ან, საერთოდ, დროითი სივრცე ჟესტურისათვის ზოგადი გრაფიკით ასე გადმოიცემა:



წინ არის მომავალი, უკან არის წარსული. ახლოს წინ არის ახლო მომავალი, ახლოს უკან არის ახლო წარსული, ხოლო წინ შორს არის შორეული მომავალი და უკან შორს არის შორეული წარსული. ეს მიდგომა არის უნივერსალური ჟესტური ენებისთვის.



დრო

ეს არის მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი „დრო“.

დროის გადმოცემისას მიმიკას აქვს გრამატიკული მნიშვნელობა. ერთი და იმავე ჟესტით სხვადასხვა დროით შინაარსს იძენს. მოქმედების დრო შემდეგი მიმიკით გადმოიცემა:

1. აწმყო არის აწურული ლოყებით და გრძივად მოჭუტული თვალებით გადმოცემული მიმდინარე დრო;
2. მომავალი გადმოიცემა აწეული წარბებით და თხოვნითი სავარაუდო-სამომავლო ელფერით;
3. წარსული უფრო კატეგორიული მიმიკით ხასიათდება, როგორც მომხდარი ფაქტი.

გარდა მიმიკისა, ზმნის დროთა გადმოსაცემად ჟესტური ერთეულებიც გამოიყენება.


1. აწმყო:




ხატავს

ეს არის ერთხელიანი ჟესტის ფორმა, აწმყო დრო.

2. მომავალი დრო წინ წაწეული ხელით გამოსახული ჟესტით გამოისახება:



მომავალი დრო



დახატავს


აქ მომავალი დროის გამომხატველი ჟესტი გვაქვს. ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის მომავალი დროის ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე – წინ წაწეული ხელით გამოსახული ჟესტი. თუმცა ზოგი წყარო ამ ორ ფორმანტს სხვა თანმიმდევრობითაც გვიჩვენებს:



დახატავს

აქ ჯერ მომავალი დროის ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის ზმნის ამსახველი ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე.

3. წარსულის მაჩვენებელი ჟესტი უკან გადაქნეული ხელით გამოსახული ჟესტია.




წარსული დრო

აღსანიშნავია, რომ სრული წარსული დროის გადმოსაცემად ქართულ ჟესტურ ენას აქვს შესაბამისი გრამატიკული ერთეული:



უკვე

სრული წარსული დროის გამომხატველი ნიშანი უკვე არის ორი ხელის მკერდის დონეზე დაქნევა, როგორც ხდება სველი ხელების გაფერთხვა. ზოგჯერ ეს ნიშანი შეიძლება ერთი ხელითაც იყოს წარმოდგენილი, როდესაც ჟესტურ ფორმაში გვაქვს სრული დრო, იქ წარსული დროის ნიშანი აღარ იქნება, რადგანაც ეს უკვე თავისთავად მოიაზრებს შესრულებულ ზმნურ აქტს. თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს რეფერენტთა სიჭარბესაც, მაგრამ ჟესტური ენის ლაკონიური ბუნების გამო ეს იშვიათობაა.



დახატა


ამ ფორმაში წარსული სრული დროის აღმნიშვნელი ჟესტი გვაქვს პირველ ორ ფოტოზე და შემდეგ მოდის ზმნა.



დახატა

წარმოდგენილ ფორმაში ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის წარსული სრული დროის ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს განგრძობითობის გრამატიკული ნიშანიც, რითიც ის უსრული ასპექტის სემანტიკას გადმოსცემს:



განგრძობითობის ნიშანი




ხატავდა

მოცემული ჟესტური ზმნის ფორმაში პირველი ორი სურათი გვიჩვენებს განგრძობითობას – უსრულ დროს. მესამე და მეოთხე სურათები (უკან გადაქნეული ხელი) გვიჩვენებს წარსულ დროს. მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი ზმნა წარმოდგენილია ძირითადი ლექსიკური ერთეულით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფორმასაც აქვს ალტერნატიული ვარია-

ნტები ჟესტურ რეფერენტთა რანგების თვალსაზრისით. აქ მორფოლოგიურ ერთეულთა რიგი ხშირად ცვალებადია არასტანდარტიზებული ენის გამო.

განგრძობითი დროები, შესაბამისად, გაგრძელებული და შენელებული პანტომიმური მოძრაობებით გადმოიცემა. ზოგჯერ ეს მორფოსემანტიკა ჟესტის განმეორებითობითაც არის ასახული:



ხატავდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს ხატავდა ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე და მეოთხე სურათებზეც.



წერდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს წერდა ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ჟესტი, ხოლო ბოლო ორ ფოტოზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.



წერდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს წერდა ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზეც.



აკეთებდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს აკეთებდა ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის ჟესტი, ხოლო ბოლო ორ სურათზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.



აკეთებდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს წერდა ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორ-

დება მესამე და მეოთხე სურათებზეც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკრეტული განსახილეველი საკითხის უკეთ წარმოჩინების მიზნით ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გააზრებულად არ ავსახეთ ზმნის პირები, ანუ აქ წარმოდგენილია სრული ფორმის ფრაგმენტი. მაგრამ ცხადია, რომ ეს ზმნური ფორმები, რა თქმა უნდა, პირთა კომბინაციის კონკრეტული ფორმებია და აქვს ჟესტური ფორმით წარმოდგენილი პირიანობის სათანადო ნიშნებიც.

გაბმულ მეტყველებაში ამა თუ იმ კონკრეტულ წინადადებაში ზმნამ შეიძლება არ გაარჩიოს მოქმედების დრო ან მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს დროის ჟესტი, როგორც ძირითადი ინფორმაცია. ეს გამომდინარეობს ჟესტურ ენათა ლაკონიზმიდან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ენის ნორმების დადგენა, სადაც შეჯერებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და დასაბუთებული, არგუმენტირებული ნორმა დაიდება.

ქართული ჟესტური ენის ლექსიკის დროის სისტემა ძირითადად გადმოიცემა დროის ზმნიზედებით და ასევე დროის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვა-ჟესტებით, როგორიცაა საათი, წელი, საუკუნე, თვე და ა. შ. ბუნებრივია, რომ ქართულ ჟესტურ ენაში დროის საზომი ერთეულები იმეორებს ქართული სამეტყველო ენის სისტემას, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ყოველთვის არ გვხვდება სამეტყველო ენის შესაბამისი დროის გამომსახველი სიტყვები. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არ გვაქვს შემდეგი დროის ზმნიზედები და დროის აღმნიშვნელი სიტყვათშეთანხმებები: დროდადრო, ზოგჯერ, ნამყო, აწმყო, მყოფადი, მაშინვე, ამ წუთას, რეგულარულად, მყისვე, წამიერად, ჟამი, მეყსეულად, ოდესმე, მრავალჟამიერ. თარგმანში ეს სიტყვები მათთან შინაარსით ახლომდგომი სიტყვებით შეიცვლება.

ქართულ ჟესტურ ენაში დროის აღმნიშვნელი სიტყვები ძა-


ლიან ხშირად მიუთითებენ დროის მარადიულობის ფენომენზე, მის წრიულობასა და ციკლურობაზე.

რაც შეეხება ასპექტის კატეგორიას, ქართული ჟესტური ენა ამ კატეგორიას გადმოგვცემს ერთხელიანი, დინამიკური ჟესტით მკერდის დონეზე და ოდნავ ქვემოთ:



სრული ასპექტის ჟესტი

ეს ჟესტი არის მორფემული, რადგანაც მას აქვს მუდმივი ადგილი – პოსტვერბალური პოზიცია და იგი არის ეროზირებული. წარმოდგენილი ფორმა მომდინარეობს ორხელიანი ჟესტიდან 'უკვე'.



უკვე

სრული ასპექტის მარკერი, როგორც წესი, წარსულ დროსთან ჩნდება. ამრიგად, სამეტყველო ქართულისაგან განსხვავებით, ქართულ ჟესტურ ენას ასპექტის გამოხატვა და ოპოზიციური ფორმები მხოლოდ წარსულ დროში გააჩნია.




დავხატე

როდესაც სრული ასპექტის ნიშანი დაერთვის ზმნას, თავისთავად, წარსული დრო არის გამოხატული და ფორმა ითარგმნება წარსული დროის შესაბამისი ზმნით. თუკი ასეთი მარკერი ზმნას არ ახლავს, მაშინ, როგორც წესი, დროის ზმნიზედა გადმოგვცემს წარსული დროის შინაარსს.



გუშინ დავწერე

ამ ფორმაში წარმოდგენილია ორი ლექსიკური ერთეული: წარსული დროის აღმნიშვნელი ზმნიზედა გუშინ და ზმნა *დავწერე / დაწერა / წერა*. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნა არ შეიცავს პირის, რიცხვის ან რამე სხვა ზმნური კატეგორიის გაგებას, საამისოდ მას ემატება ზმნური მორფემები ან სხვა ჟესტები. ამ წიგნში წარმოდგენილი ზმნის თარგმანი, უმეტესწილად, მეტი სიცხადისათვის შეიცავს პირიან ფორმებს.




დავწერე

წარმოდგენილი ფორმა, წინა მაგალითისგან განსხვავებით, ერთი ლექსიკური ერთეულის შემცველია. აქ გვაქვს წერა და სრული ასპექტის დელექსიკალიზებული მორფემა. ამრიგად, ამ მაგალითის მნიშვნელობა არის წარსული სრული დროის ფორმა დავწერე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი პირის ფორმები ხშირად ნაცვალსახელის გარეშეა, რადგანაც ზოგადი მიდგომით, ჟესტურ ენებში სხეული არის სუბიექტი. რასაკვირველია, ეს ზმნის ფორმა იგივე იქნება მეორე და მესამე პირებთანაც.

ასპექტის გამოხატვა შეიძლება ასევე დამხმარე ზმნითაც

‘ყოფილა’ ფორმით.



ვყოფილვარ

თურმეობითების შესაბამისად, სწორედ ასეთი ფორმები გამოიყენება სამეტყველო ქართულის ‘დამიხატავს’ შეესაბამება ‘ხატვა ყოფილა’, ხოლო უარყოფითი ფორმა ‘არ დამიხატავს’ ქართულ ჟესტურ ენაში იქნება ‘ხატვა არ ყოფილა’:




დამიხატავს - ‘ხატვა ყოფილა’



არ დამიხატავს - 'ხატვა ყოფილა არა'

გაბმული ჟესტირების პროცესში, შესაძლოა, ერთხელ უკვე აღნიშნული წარსული დრო მისი სრული ასპექტის მარკერით აღარ განმეორდეს მომდევნო ფორმებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ასპექტის გამოხატვა ასევე შესაძლებელია ლექსიკური საშუალებითაც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ასეთ შემთხვევებში გამოიყენება ზმნიზედა 'უკვე' – ორხელიანი ჟესტი, რომელიც, უმეტეს შემთხვევებში, უკან მოსდევს ზმნას:




'მე (გა)ვაკეთე უკვე' – მე (გა)კეთება უკვე


ამრიგად, როგორც ვხედავთ, წარსული დრო უფრო მარკირებულია ქართულ ჟესტურ ენაში. მისი მარკირება ნეგატიური კონკორდითაც ხდება (იხილე თავი „ზმნური ნეგაცია ქართულ ჟესტურ ენაში“).

კილოს საკითხი ქართულ ჟესტურ ენაში შედარებით ნაკლებად არის დამუშავებული. რამდენიმე წლის წინ გამოცემულ წიგნში – „ქართული ჟესტური ენა“ მე განვიხილე ქართული ჟესტური ენის უღლება ქართული სამეტყველო ენის ზმნის პარადიგმების მიხედვით (მახარობლიძე 2012:426-237). აღმოჩნდა, რომ ქართული ჟესტური ენის ზმნა ყველა თერთმეტი მწკრივის შესაბამის ფორმას აწარმოებს. აქვე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ თავად ქართული ჟესტური ენის ზმნისთვის ამ ტიპის პარადიგმები არ არის დამახასიათებელი.

კავშირებითი კილოს კატეგორია ძირითადად დაკავშირებულია ჟესტურ მორფემებთან:



კავშირებითი კილოს ნიშანი



შესაძლებლობა-სასურველობის ნიშანი

ქართული ჟესტური ენა განასხვავებს სამივე კილოს, თხრობითს, კავშირებითსა და ბრძანებითს. აღსანიშნავია, რომ კილოს უპირველესი განმასხვავებელი ნიშანი არის მიმიკა, რაც არის კილოს არამანუალური მარკერი. ქართულ ჟესტურ ენაში არამანუალური მარკირება უფრო გამოკვეთილია ბრძანებითი და კავშირებითი კილოს შემთხვევევებში.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს კატეგორიულობის ნიშანიც ზმნაში. ეს აღნიშნავს *აუცილებლად / წყალი არ გაუვა / უეჭველად:*



პოზიტიური კატეგორიულობა




ვეტყვი (აუცილებლად)

თურმეობითში კილოს აღმნიშვნელია ნამყო ეგზისტენციალური (ანუ ეგზისტენციალური პერფექტი) – ფორმა 'ვყოფილვარ':




ვყოფილვარ / ყოფილა

მაგალითები:



დამიხატავს (ხატვა + ვყოფილვარ)




გამიკეთებია (გაკეთება + ვყოფილვარ)




არ ვიცოდი (რომ/თუ) უნდა გამეკეთებინა
(გაკეთება+ვყოფილვარ)

პლუპერფექტში (მეორე თურმეობითში) კილოს ნიშანია ასევე ნამყო ეგზისტენციალური ფორმა 'იყო':




მეთქვა (მეთქვა +იყო)

ეს ფორმა (*მეთქვა*) ინკორპორირებული ზმნაა და ამდენად, მისი თარგმანი პირიანი ფორმითაა უპრიანი.




გამეკეთებინა (გაკეთება + იყო)

ქართულ ჟესტურ ენაში შეგვიძლია გამოვყოთ ოპტატივის ნიშანიც:




ოპტატივის ნიშანი

მაგალითები:




ვთქვა




გავაკეთო

საგულისხმოა, რომ ამ ზმნურ ფორმათა უარყოფითი ფორმები ენაში წარმოდგენილია 'იყო' ზმნითა და უარყოფითი ნაწილაკით 'არა':



არ დამიხატავს / არ დავხატე (ხატვა იყო+არა)



არ გამიკეთებია /არ გავაკეთე (გაკეთება იყო+არა)

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aarons, Debra/Bahan, Ben/Kegl, Judy/Neidle, Carol (1995) Lexical Tense Markers in American Sign Language. In: Emmorey, Karen/Reilly, Judy (eds.), Language, Gesture, and Space. Hillsdale, NJ: Erlbaum, 225–253.
- Anderson, Lloyd B. (1982) Universals of Aspect and Parts of Speech: Parallels Between Signed and Spoken Languages. In: Hopper, Paul J. (ed.), Tense – Aspect: Between Semantics and Pragmatics. Amsterdam: Benjamins, 91–114.
- Aronoff, Mark/Meir, Irit/Sandler, Wendy (2005) The Paradox of Sign Language Morphology. In: Language 81(2), 301–344.
- Bergman, Brita (1983) Verbs and Adjectives: Morphological Processes in Swedish Sign Language. In: Kyle, Jim/Woll, Bencie (eds.), Language in Sign: An International Perspective on Sign Language. London: Croom Helm, 3–9.
- Bergman, Brita/Dahl, Osten (1994) Ideophones in Sign Language? The Place of Reduplication in the Tense-aspect System of Swedish Sign Language. In: Bache, C./Basboll, H./Lindberg, C.-E. (eds.), Tense, Aspect and Action: Empirical and Theoretical Contributions to Language Typology. Berlin: Mouton de Gruyter, 397–422.
- Brennan, Mary (1983) Marking Time in British Sign Language. In: Kyle, Jim/Woll, Bencie (eds.), Language in Sign: An International Perspective on Sign Language. London: Croom Helm, 10–31.
- Brentari, Diane (1998) A Prosodic Model of Sign Language Phonology. Cambridge, MA: MIT Press.
- Bybee, Joan L./Perkins, Revere D./Pagliuca, William (1994) The Evolution of Grammar: Tense, Aspect, and Modality in the

Languages of the World. Chicago: Chicago University Press.
- Cabeza Pereiro, Carmen/Fernandez Soneira, Ana (2004) The Expression of Time in Spanish Sign Language (SLE). In: Sign Language & Linguistics 7(1), 63–82.
- Cogen, Cathy (1977) On Three Aspects of Time Expression in American Sign Language. In: Friedman, Lynn (ed.), On the Other Hand: New Perspectives on American Sign Language. New York: Academic Press, 197–214.
- Comrie, Bernard (1976) Aspect. Cambridge: Cambridge University Press.
- Dahl, Oyvind (1995) When the Future Comes from Behind: Malagasy and Other Time Concepts and Some Consequences for Communication. In: International Journal of Intercultural Relations 19(2), 197–209.
- Ferreira Brito, Lucinda (1990) Epistemic, Alethic, and Deontic Modalities in a Brazilian Sign Language. In: Fischer, Susan D./Siple, Patricia (eds.), Theoretical Issues in Sign Language Research. Vol. 1:
- Linguistics. Chicago: University of Chicago Press, 229–260.
- Fischer, Susan D. (1973) Two Processes of Reduplication in the American Sign Language. In: Foundations of Language 9, 469–480.
- Fischer, Susan/Gough, Bonnie (1999) [1972] Some Unfinished Thoughts on finish. In: Sign Language & Linguistics 2(1), 67–77.
- Friedman, Lynn A. (1975) Space, Time, and Person Reference in American Sign Language. In: Language 51(4), 940–961.
- Grose, Donovan R. (2003) The Perfect Tenses in American Sign Language: Nonmanually Marked Compound Tenses.

MA Thesis, Purdue University, West Lafayette.
- Heine, Bernd/Kuteva, Tania (2002) World Lexicon of Grammaticalization. Cambridge: Cambridge University Press.
- Herrmann, Annika (2009) Modal Particles and Focus Particles in Sign Languages. A Cross-linguistic Study of DGS, NGT, and ISL. PhD Dissertation, University of Frankfurt/Main (to be published in the Series Sign Language and Deaf Communities, Mouton de Gruyter).
- Hoiting, Nini/Slobin, Dan I. (2001) Typological and Modality Constraints on Borrowing: Examples from the Sign Language of the Netherlands. In: Brentari, Diane (ed.), Foreign Vocabulary in Sign Languages. A Cross-linguistic Investigation of Word Formation. Mahwah, NJ: Erlbaum, 121–137.
- Jacobowitz, Lynn/Stokoe, William C. (1988) Signs of Tense in ASL Verbs. In: Sign Language Studies 60, 331–339.
- Janzen, Terry (1995) The Poligrammaticalization of finish in ASL. MA Thesis, University of Manitoba, Winnipeg.
- Janzen, Terry/Shaffer, Barbara (2002) Gesture as the Substrate in the Process of ASL Grammaticization. In: Meier, Richard/Cormier, Kearsy/Quinto-Pozos, David (eds.), Modality and Structure in Signed and Spoken Languages. Cambridge: Cambridge University Press, 199–223.
- Jones, Philip (1978) On the interface of ASL Phonology and Morphology. In: Communication and Cognition 11, 69–78.
- Klima, Edward/Bellugi, Ursula (1979) The Signs of Language. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Lakoff, George/Johnson, Mark (1980) Metaphors We Live by. Chicago: University of Chicago Press.
- Liddell, Scott K. (1984) Unrealized Inceptive Aspect in American Sign Language: Feature Insertion in Syllabic Frames. In:

Drogo, Joseph/Mishra, Veena/Testen, David (eds.), Papers from the 20th Regional Meeting of the Chicago Linguistic Society. Chicago: University of Chicago Press. 257–270.
- Marsaja, I Gede (2008) Desa Kolok – A Deaf Village and Its Sign Language in Bali, Indonesia. Nijmegen: Ishara Press.
- Massone, Maria Ignacia (1994) Some Distinctions of Tense and Modality in Argentine Sign Language. In: Ahlgren, Inger/Bergman, Brita/Brennan, Mary (eds.), Perspectives on Sign Language Structure. Papers from the Fifth International Symposium on Sign Language Research. Durham: ISLA, 121–130.
- Meier, Richard P. (2002) Why Different, Why the Same? Explaining Effects and Non-effects of Modality Upon Linguistic Structure in Sign and Speech. In: Meier, Richard P./Cormier, KearsyA./Quinto-Pozos, David G. (eds.), Modality and Structure in Signed and Spoken Languages. Cambridge: Cambridge University Press, 1–25.
- Meir, Irit (1999) A Perfect Marker in Israeli Sign Language. In: Sign Language & Linguistics 2(1), 43–62.
- Neidle, Carol/Kegl, Judy/MacLaughlin, Dawn/Bahan, Ben/Lee, Robert G. 2000 The Syntax of American Sign Language. Functional Categories and Hierarchical Structure. Cambridge, MA: MIT Press.
- Palmer, Frank R. (1986) Mood and Modality. Cambridge: Cambridge University Press.
- Pfau, Roland/Quer, Josep (2007) On the Syntax of Negation and Modals in German Sign Language (DGS) and Catalan Sign Language (LSC). In: Perniss, Pamela/Pfau, Roland/Steinbach, Markus (eds.), Visible Variation. Comparative Studies on Sign Language Structure. Berlin: Mouton de Gruy-

ter, 129–161.
- Pfau, Roland, Steinbach, Markus, Woll Bencie (2012) Tense, aspect, and modality. In: Sign Language. An International Handbook. Ed. By R. Pfau, M. Steinbach and B. Woll. De Gruyter Motion.
- Pfau, Roland/Steinbach, Markus (2006) Modality-independent and Modality-specific Aspects of Grammaticalization in Sign Languages. In: Linguistics in Potsdam 24, 5–94.
- Rathmann, Christian (2005) Event Structure in American Sign Language. PhD Dissertation, University of Texas at Austin.
- Sapountzaki, Galini (2005) Free Functional Elements of Tense, Aspect, Modality and Agreement as Possible Auxiliaries in Greek Sign Language. PhD Dissertation, Centre of Deaf Studies, University of Bristol.
- Schermer, Trude/Koolhof, Corline (1990) The Reality of Timelines: Aspects of Tense in Sign Language of the Netherlands (SLN). In: Prillwitz, Siegmund/Vollhaber, Tomas (eds.), Proceedings of the Forth International Symposium on Sign Language Research. Hamburg: Signum, 295–305.
- Schmaling, Constanze (2000) Maganar Hannu: Language of the Hands. A Descriptive Analysis of Hausa Sign Language. Hamburg: Signum.
- Senghas, Ann (1995) Children's Contribution to the Birth of Nicaraguan Sign Language. PhD Dissertation, MIT, Cambridge, MA.
- Shaffer, Barbara (2002) can't: The Negation of Modal Notions in ASL. In: Sign Language Studies 3(1), 34–53.
- Smith, Carlotta (1997) The Parameter of Aspect (2nd Edition). Dordrecht: Kluwer.
- Sutton-Spence, Rachel/Woll, Bencie (1999) The Linguistics

of British Sign Language. An Introduction. Cambridge: Cambridge University Press.
- Wilbur, Ronnie B. (1987) American Sign Language: Linguistic and Applied Dimensions. Boston: College-Hill.
- Wilbur, Ronnie B. (2008) Complex Predicates Involving Events, Time and Aspect: Is This Why Sign Languages Look so Similar? In: Quer, Josep (ed.), Signs of the Time: Selected Papers from TISLR 2004. Hamburg: Signum, 217–250.
- Wilbur, Ronnie (2010) The Semantics-Phonology Interface. In: Brentari, Diane (ed.), Sign Languages. Cambridge Language Surveys. Cambridge: Cambridge University Press, 357–382.
- Wilcox, Sherman/Shaffer, Barbara (2006) Modality in American Sign Language. In: Frawley, William (ed.), The Expression of Modality. Berlin: Mouton de Gruyter, 207–237.
- Wilcox, Sherman/Wilcox, Phyllis (1995) The Gestural Expression of Modality in ASL. In: Bybee, Joan/Fleischman, Suzanne (eds.), Modality in Grammar and Discourse. Amsterdam: Benjamins, 135–162.
- Zeshan, Ulrike (2000) Sign Language in Indo-Pakistan. A Description of a Signed Language. Amsterdam: Benjamins.
- Zeshan, Ulrike (2003) Aspects of Turk İşaret Dili (Turkish Sign Language). In: Sign Language & Linguistics 6(1), 43–75.
- Zucchi, Sandro (2009) Along the Time Line: Tense and Time Adverbs in Italian Sign Language. In: Natural Language Semantics 17, 99–139.
- Zucchi, Sandro/Neidle, Carol/Geraci, Carlo/Duffy, Quinn/Cecchetto, Carlo (2010) Functional Markers in Sign Languages. In: Brentari, Diane (ed.), Sign Languages (Cambridge Language Surveys). Cambridge: Cambridge University Press,

197–224.

- Makharoblidze Tamar (2018) Verbal Temporal Categories in Georgian Sign Language (GESL) Moambe - Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. Georgian Academy Press. ISSN-0132-1447. Vol.12, no 1. Pp. 125-128.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, გზამკვლევი ტრენერისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი
- თ. მახარობლიძე, „დროის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში". ქუთაისის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა" ქუთაისი, 2013 294-302 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) მოქმედების დრო ქართულ ჟესტურ ენაში. „კავკასიოლოგიური ძიებები" – IV; თსუ. თბილისი. გვ. 77-79: 231-233
- თ. მახარობლიძე, „ზმნათა უღვლილება ქართულ ჟესტურ ენაში", კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში". თსუ. თბილისი. 2013; 231-233 გვ
- თ. მახარობლიძე, (2014) დროის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში. ენათმეცნიერების საკითხები. ეძღვნება ი. მე-

ლიქიშვილის ხსოვნას. ISSN 1512-0673. თსუ, თბილისი გვ. 209-218

- მახარობლიძე თ. (2016) ლინგვისტური წერილები - III. თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. ISBN 978-9941-13-511-8 446 გვ.
- მახარობლიძე თ. (2018) ლინგვისტური წერილები - IV წიგნის ფაბრიკა. თბილისი ISBN 978 9941-9-0044-3 317 გვ.

მოდალობა ქართულში

მოდალობა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური თემაა ენათა სწავლებაში. ტერმინი „მოდალობა“ ტრადიციულად სამი მნიშვნელობით გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რა მიმართულების კვლევაა წარმოდგენილი – ლოგიკური, დისკურსული თუ გრამატიკული. ბოლო პერიოდში ამ ტერმინმა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობაც შეიძინა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, იგი გამოხატავს მესიჯის გადმოცემის არხს – განსაკუთრებით ხშირია ამ მნიშვნელობით მისი გამოყენება ჟესტური ენების მკვლევარებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ტერმინი „მოდალობა“ ოდენ გრამატიკული მნიშვნელობით რომ განვიხილოთ, იგი მაინც რჩება ურთულეს ენობრივ მოვლენად (Herrero-Blanco & Salazar-García. Acc. 2016 15.10.) ამ ეტაპზე მოდალობის საკითხი ქართულ ენაში ფაქტობრივად შეუსწავლელია. ამ თემაზე არის მხოლოდ ორიოდე სტატია ნ. შარაშენიძის, კ. ვამლინგისა და ვ. ბოედერის.

მოდალობის კლასიფიცირება ხდება დეონტურ და ეპისტემურ მოდალობებად (Palmer 1979; Hoye 1997). ეპისტემური მოდალობა გულისხმობს მოსაუბრის ცოდნას ან რწმენას, რის საფუძველზეც იგი აგებს თავის მსჯელობას საგნებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით (Hoye 1997:42). დეონტური მოდალობა კი მოიცავს შესაძლებლობების ან საჭიროების თემას, რის მიხედვითაც მომავალში შესასრულებელი მოქმე-

დებისთვის მოსაუბრე ან ნებართვას იძლევა ან რამე ტიპის ვალდებულებაში შედის (Hoye 1997:43). ამ ორ ძირითად მოდალობას თავისი ქვეჯგუფები გააჩნია. ჩვენ აქვე უნდა დავამატოთ, რომ არსებობს მესამე, შერეული ფორმაც (რაზეც ჩვენ ქვევით ვისაუბრებთ).

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ქართულში (და არა მხოლოდ ქართულში) ზოგჯერ რთულია ამ ორი ტიპის მოდალობის გამიჯვნა. საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ნაწილაკი უნდა გამოიყენება მოდალობის ორივე სემანტიკის გადმოსაცემად.

ნებისმიერი ტიპის მოდალობის გადმოცემა შეიძლება მოხდეს შემდეგი სამი ტიპის კონსტრუქციით:

- წმინდა ზმნური კონსტრუქციით – მოდალური ზმნა პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *მინდა წავიდე*);
- ნაწილაკიანი კონსტრუქციით – ნაწილაკი პლუს ძირითადი ზმნა (მაგ., *უნდა წავიდე*);
- შერეული ტიპის კონსტრუქციით – მოდალური ზმნა, ნაწილაკი და ძირითადი ზმნა (მაგ., *ვიცი, უნდა წავიდე*).

ეს უკანასკნელი ფორმა სემანტიკური თვალსაზრისითაც ხშირად შერეული ფორმაა – აქ გვაქვს როგორც ეპისტემური, ისე დეონტური კონტენტი.

თანამედროვე ქართულში მოდალობის კონსტრუქციებში შედარებით ხშირია შემდეგი ზმნური ფორმების გამოყენება: მინდა, გინდა. ეს უკანასკნელი თავისუფალი არჩევანის კავშირადაც გამოიყენება. უნდა კი ხშირად მოდალური ნაწილაკის ფუნქციით მუშაობს. ასევე ხშირია ზმნები: *შეიძლება, შესაძლოა, ვფიქრობ, ვეჭვობ, ვვარაუდობ, ვგრძნობ, ცხადია, ნათელია, ვიცი, მითხრეს* და სხვ.

მოდალობის მეორე ტიპის კონსტრუქციის გადმოსაცემად

ხშირია შემდეგი ნაწილაკების გამოყენება: *უნდა, ნეტავ, ლამის, თითქმის, ალბათ, კინაღამ, იქნებ, ეგებ / ეგების* და *სხვ.* ამ ნაწილაკთა დიდი ნაწილი (უნდა და ნეტავ ფორმათა გარდა) მიახლოებითობის სემანტიკას გვიჩვენებს. ძირითადი კომბინაციები შემდეგნაირია:

A. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს აორისტი იძლევა წარსული დროის განუხორციელებელი აქტის სემანტიკას უარყოფითი რეზულტატით (მაგ. *ლამის მოვიდა*);
B. მიახლოებითი ნაწილაკი პლუს ოპტატივი იძლევა აწმყო დროის დაუსრულებელი აქტის სემანტიკას, სადაც რეზულტატი ჯერ არ გვაქვს სახეზე (მაგ. *ლამის მოვიდეს*).

ზემოთ აღნიშნული მიახლოებითი სემანტიკის ფორმები ტ. კუტტევას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით არის ე.წ. ავერტივები, ეს ავტორები თვლიან, რომ „ავერტივი არის ზმნის შეზღუდული სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, ძალიან ახლოს იყო განხორციელებასთან, მაგრამ ვერ შედგა ზმნის აქტი" (კუტტევა და სხვ. 2015). მათივე ანალიზით, ავერტივის მახასიათებლებია:

1. კონტრაფაქტუალობა,
2. სრული წინაპირობა ზმნური აქტის შესრულებისთვის,
3. ზმნური აქტის შესრულების ნულოვანი რეზულტატი,
4. იმინენტობა,
5. წარსული დრო,
6. პერფექტულობა (კუტტევა და სხვ. 2015).

ავერტივი საენათმეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც სემანტიკურად დამუშავებული გრამატიკული კატეგორია, რომელსაც მორფოსინტაქსურ დონეზე თავისი გარკვეული მარკირება გააჩნია. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითი (*ლამის მოვიდეს*) უჩვენებს, რომ არც წარსუ-

ლი დრო და არც პერფექტულობა აქ არ არის აუცილებელი. ასევე ეჭვის ქვეშ დგება ავერტივის მესამე მახასიათებელიც –ზმნური აქტის შესრულების ნულოვანი რეზულტატი. აქ პრაქტიკულად, დასაშვებია ნებისმიერი რეზულტატი, რადგანაც ჯერ არაა მოქმედება დასრულებული. ამ ტიპის ფორმები უნდა განვიხილოთ როგორც ე.წ. აპროქსიმატივები. ტ. კუტტევას, ბ. აარტის, გ. პოპოვას და ა. აბის (2015) მიხედვით, ავერტივების სემანტიკა მოიცავს პროქსიმატივებს. ჩემი დასკვნით კი ეს არის ორი ერთმანეთთან ახლოს მდგომი კატეგორია, რომელთაც, შესაძლოა, საერთო მოდალური დომეინი ჰქონდეთ, მაგრამ ამ ტიპის პროქსიმატივები ვერ განიხილება ავერტივებად და ვერც მის ქვეკატეგორიად. თუკი ავერტივის ძირითადი მახასიათებელია პერფექტულობა, წარსული დრო და ზმნური აქტის რეზულტატის ნულოვანი კატეგორია, ამ B ფორმებისთვის (*ლამის წავიდეს*) ვითარება რადიკალურად განსხვავებულია: აქ ჯერ არ დამდგარა რეზულტატი (და ეს შეიძლება იყოს არა უარყოფითი, არამედ დადებითი შედეგითაც), არც წარსული დრო და არც პერფექტულობა აქ არ მოიაზრება. ავერტივსა და ამ ტიპის პროქსიმატივებს საერთო აქვთ იმანენტობა. აქ შეიძლება იყოს ორი ტიპის მიდგომა: შეიძლება ავერტივების მახასიათებლების შეკვეცა და ამით მისი სემანტიკის გაფართოვება ან ასეთი ტიპის პროქსიმატივებს ჩვენ, შესაძლოა, ვუწოდოთ ოპტატივის პროქსიმატივები ან იმინენტური პროქსიმატივები. ასეთი სახელდებები შემდგომი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქართულში აორისტიანი მოდალობის აპროქსიმატული ფორმები მთლიანად ემთხვევა ავერტივის არსებულ სემანტიკას (თავისი მახასიათებლებით), ხოლო ოპტატივის კონსტრუქცია უფრო იმპერფექტულია (მიუხედავად სრული ასპექტისა) და დაუსრულებელი

მოქმედების შინაარსს გადმოგვცემს. როგორც წესი, ამ ტიპის კონსტრუქცია გადმოგვცემს შემდეგ შინაარსს: ზმნური მოქმედება მოულოდნელია, ან არასასურველი ან რაღაც თვალსაზრისით და (სავარაუდოდ) ამ აქტის შესრულება-შეუსრულებლობა მნიშვნელოვანია მოსაუბრისათვის.

რაც შეეხება პერფექტულობის საკითხს, მოდალობასთან მიმართებაში – აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით, იმპერფექტულობა ქართული მოდალობისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რამდენადაც ქართული ზმნის ფორმებს ასპექტის თვალსაზრისით პარალელური წარმოება აქვთ მწკრივებში (აორისტისა და პერფექტული მწკრივების ჩათვლით). ქართულ ენაში, ამ კუთხით, ყველაფერი ზმნისწინზეა დამოკიდებული. ზმნისწინის დროითი ფუნქცია ძალიან პროდუქტიულია თანამედროვე ქართულში. ზოგადად, მოდალურ კონსტრუქციებში საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვაობა სრული და უსრული ასპექტის ფორმებს შორის. მაგალითად, ნეტავ ხატავდეს – მოიაზრებს სურვილს, რომ ის იყოს ხატვის პროცესში, ხოლო ნეტავ დახატავდეს გულისხმობს რეზულტატის სურვლს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ დადგეს შედეგი, უსრული ფორმა კი პროცესის სურვილია და არა შედეგის. დედუქციური მიდგომით, ეს დასკვნა, სავარაუდოდ, ტიპოლოგიურად უნივერსალური უნდა იყოს.

იმპერფექტული მოდალობის ხვედრითი წონის განსაზღვრისათვის საყურადღებოა შემდეგი გარემოება: მოდალობის კონსტრუქციაში სტატისტიკით ყველაზე უფრო ხშირი ფორმები *მინდა / უნდა* და *ვიცი / იცის* უასპექტო ფორმებია და თავისი სიღრმისეული სემანტიკით ესენი სწორედაც იმპერფექტული ზმნებია.

აღსანიშნია, რომ ზოგ სამეტყველო ენაში კილო და მწკრივი (პირობითად) სხვაობს იმის მიხედვით, სათქმელი პოზიტიუ-

რი კონტენტია, თუ ნეგატიური. ქართულ ენას ზმნურ ფორმათა შორის ამდაგვარი ოპოზიცია არ გააჩნია. საერთაშორისო ენათმეცნიერულ სივრცეში გაზიარებულია ის მოსაზრება, რომ ბევრ ენაში მოდალობა ზმნური კატეგორიებით არის გამოხატული, კერძოდ, აქ საუბარია კილოზე. თუკი მოდალობას განვიხილავთ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული სახის მარკირება. ამ მიდგომით, შესაძლოა, კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად იქნეს მიჩნეული ქართულში. ცნობილია, რომ მწკრივის მარკერები რეალურად დრო-კილოს მარკერებია და ფაქტობრივად, დღემდე არ გვქვს ზუსტი ცალსახა მორფოლოგიური დეფინიცია – რა მარკერებია ესენი დროის, კილოსი თუ მწკრივის.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებს ეპისტემური და დეონტური მოდალობის კონსტრუქციებს სამეტყველო ქართულში.

პირველი ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	ზმნის ფორმა	სემანტიკა
ეპისტემური ვიცი აკეთებს / აკეთებდა	აწმყო	აწმყო იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ, მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცი გააკეთებდა	აწმყო	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
ეპისტემური ვიცოდი აკეთებდა	წარსული	იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცოდი გააკეთებდა	წარსული	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
დეონტური მინდა (გა)ვაკეთო	აწმყო	ოპტატივი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა – პრევერბით)

დეონტური მინდა ვაკეთებდე	აწმყო	აწმყოს კავშირებითი	სურვილი პროცესის ქონისა
დეონტური მინდოდა (გა)მეკეთებინა	წარსული	მეორე თურმეობითი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა – პრეეერბით)

ცხრილი1.

მეორე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ნაწილაკი	ზმნის ფორმა	სემანტიკა
დეონტური უნდა (გა)ვაკეთო	უნდა	ოპტატივი	საჭიროება/ვალდებულება სამომავალო (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)
დეონტური უნდა ვაკეთებდე	უნდა	აწმყოს კავშირებითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესის ქონისა
დეონტური უნდა (გა)მეკეთებინა	უნდა	მეორე თურმეობითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესისა (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)

ცხრილი 2.

მესამე ტიპის კონსტრუქციები:

მოდალური კონ-სტრუქცია	მოდალური ზმნა პლუს ნაწილაკი	ზმნის ფორმა	სემანტიკა
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა (გა)ვაკეთო	ვიცი (აწმყო) უნდა	ოპტატივი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება-ვალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატის მოიაზრებენ)
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა ვაკეთებდე	ვიცი (აწმყო) უნდა	აწმყოს კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება – ვალდებულებაში

ეპისტემურ-დეონტური ვიცოლი (რომ) უნდა (გა)მეკეთებინა	ვიცოდი (წარსული) უნდა	მეორე თურმეობითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროება –ვალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატის საჭიროება – ვალდებულებას მოიაზრებენ)

ცხრილი 3.

როგორც ვხედავთ, მესამე ცხრილში მოყვანილი ფორმები შერეული მოდალობის ფორმებია. აქ წარმოდგენილია როგორც ეპისტემური ასევე დეონტური მოდალობა.

მოდალობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი ქართულ ენაში. დასამუშავებელია კავშირებითი კილოს შემდეგი სემანტიკური ველების მორფოსინტაქსი:

- პოტენციურობა,
- განუსაზღვრელობა,
- წინასწარმეტყველება,
- ვალდებულება,
- სურვილი / ნატვრა და ა.შ.

სტატისტიკური მონაცემები ქართული ეროვნული კორპუსის მიხედვით ასეთია: მინდა – 60469; გინდა - 17740; უნდა – 740258; ვიცი – 64437; იცი – 12089; იცის – 49007. (http://gnc.gov.ge/gnc/concordance)

ჩვენ ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ მოდალობასთან დაკავშირებული სიტუაცია სამეტყველო ქართულში. ახლა შევეხებით მოდალობას ქართულ ჟესტურ ენაში.

აღსანიშნავია, რომ მოდალობის კვლევებს ჟესტურ ენებში არცთუ დიდი ისტორია აქვს. საკითხს სულ რამდენიმე მეცნიერი შეეხო (Brito, 1990; Wilcox & Wilcox, 1995; Shaffer, 2004). ძირითადი მიგნებები ამ სფეროში ასეთია:

- სახეზეა კროსლინგვისტური ტენდენციები,
- მოდალური ელემენტები შესაძლოა იყოს ადგილმონაცვლე

წინადადებაში(ამერიკულიჟესტურიენაhttp://seattlecentral.edu/faculty/bbernstein/ASL102/102Resources/102%20handouts/102%20Modals.htm)

- მოდალურობის გაფორმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტაფორული აზროვნება,
- დეონტური მოდალობისას მოძრაობები შედარებით მარტივი და ენერგიულია, ხოლო ეპისტემური მოდალობის კინეტიკა განმეორებითი და ნაკლებ ენერგიულია ბრაზილიურ ჟესტურ ენაში (Brito 1990). ანალოგიური ვითარება იკვეთება ამერიკულ ჟესტურშიც (Wilcox & Wilcox 1995)
- ზოგ მკლევარს მიაჩნია, რომ დეონტური მოდალობა უფრო საბაზისოა ეპისტემურთან შედარებით (Shaffer 2004:177). მოდალობა ხშირად განისაზღვრება როგორც საჭიროებისა და შესაძლებლობების კონცეპტუალური დომეინი. ეს გამოიხატება გარკვეული ლექსემებითა და დამხმარე ზმნებით ან კილოს გრამატიკული კატეგორიით ზმნის ფორმაში (Shaffer (2004:177).
- გრამატიკალიზაციის პროცესი ჟესტურ ენებში ოპერირებს სამეტყველო ენების მსგავსად (Wilcox 2016).
- ამრიგად, იკონურობა და მეტაფორა მოდალობის კონფიგურაციებში განმსაზღვრელ როლს თამაშობს.
- ხაზგასასმელია არამანუალური ანუ მიმიკური ელემენტების მნიშვნელოვანი როლი მოდალობის კუთხით. ზოგადად, ჟესტურ ენებში იმპერფექტული მოდალობა გადმოცემულია განმეორებითი ჟესტებით (Wilcox 2004).
- დიდი მნიშვნელობა აქვს ჟესტის შესრულების მანერას, როგორც ინტონაციას სამეტყველო ენებში ((Pfau & Steinbach 2006:72).სწრაფი, ფართო და ინტენსიური ჟესტები უფრო ძლიერ ვალდებულებებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს გამოხატავს, ვიდრე ნელი და პატარა ჟესტები.

ქართულ ჟესტურ ენაში მოიპოვება ზემოთ აღნიშნული სამივე ტიპის მოდალური კონსტრუქცია.

პირველი ტიპის კონსტრუქციები:




ეპისტემური ვიცი აკეთებს



ეპისტემური ვიცი გააკეთებს

ამ მაგალითში პირველი ფოტო ასახავს მოდალურ ფორმას ვიცი, მეორეზე წარმოდგენილია კეთება ზმნა, მესამე ფოტო უჩვენებს მომავალ დროს, ხოლო ბოლო, მეოთხე ფოტოზე გამოსახულია აუცილებლობის სემანტიკის ჟესტ-მორფემა. ეს ბოლო მორფემა კილოს კატეგორიაშიც შეგვიძლია განვიხილოთ.



უარყოფითი ეპისტემური ფორმა – არ ვიცოდი თუ გააკეთებდა

საგულისხმოა, რომ როგორც პირველ ორ ფოტოზე ჩანს, არ ვიცოდი არის ფაქტობრივი ჯამი ორი ფორმისა „არ ვიცოდი“ როგორც ერთი ჟესტი და ამას პლუს „არა“ ნეგატიური ნაწილაკი. ასეთი კომბინაცია მხოლოდ წარსული დროის უარყოფით ფორმებში გვხვდება. ეს არის ორმაგი ლექსიკური უარყოფა, რადგანაც პირველ ფოტოზე მოცემული პირველი ერთეული უკვე არის უარყოფითი ფორმა ‘არცოდნა’ და ‘არა’

ნაწილაკი მხოლოდ წარსულ დროში ემატება. მეოთხე ფოტო ასახავს თუ კავშირს, ხოლო ბოლო ფოტოზე მოცემულია პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნაცვალსახელური ფორმა.



დეონტური – მინდა გავაკეთო



უარყოფითი დეონტური ფორმა – არ მინდა გავაკეთო

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ვიცი და არ ვიცი, მინდა და არ მინდა სხვადასხვა ლექსემებია ანუ სხვადასხვა ჟესტებია. აქ უარყოფითი ნაწილაკი არა არ არის წარმოდგენილი.

მერე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:



დეონტური – უნდა გავაკეთო

აქ პირველ ფოტოზე ასახულია მოდალური ნაწილაკი უნდა. ბოლო ჟესტი კი არის მომავალი დროის აღმნიშვნელი დროის მორფოლოგიური ჟესტი, რომელსაც კონკრეტული ლექსიკური შესატყვისობა არ გააჩნია არც ამ წინადადებაში და არც ამ ტიპის სხვა ფორმებთან.



უარყოფითი დეონტური ფორმა – არ უნდა გავაკეთო

როგორც წარმოდგენილ მაგალითში ვხედავთ, უნდა და არ უნდა ასევე განსხვავებული ჟესტებია უარყოფითი ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილი.

ამ ტიპის მოვლენას ნაწილობრივი სუპლეციის ფაქტად განიხილავენ ევროპელი კოლეგები.



დეონტური – უნდა გამეკეთებინა

აქ წარმოდგენილია უნდა ფორმა, რომელიც წინ უძღვის კეთება ზმნას. შემდეგ მოდის დელექსიკალიზებული მომავლის დროის ფორმა და კილოს ჟესტი – აუცილებლად. წარსული დროის ფაქტორი აქ მიმიკით არის გადმოცემული.



უარყოფითი დეონტური – არ უნდა გამეკეთებინა (შეცდომა)

ამ მოდალურ კონსტრუქციას – არ უნდა გამეკეთებინა ბოლოში ერთვის ჟესტი *შემეშალა / შეცდომა დავუშვი*, რომელიც წარმოდგენილია ბოლო ორ ფოტოზე. (ეს უკანასკნელი სინანულის ჟესტია.)

მესამე ტიპის მოდალური კონსტრუქციები:



ეპისტემურ-დეონტური – ვიცი (რომ) უნდა გავაკეთო

ამ მოდალურ კონსტრუქციაში ვიცი (ცოდნა) ზმნა წარმოდგენილია ერთხელიანი ჟესტით, გაშლილია საფეთქელთან მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ და ქვევით მოძრაობს.



უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური – არ ვიცი, რომ უნდა გავაკეთო

სიტყვასიტყვით: *არ+ვიცი, რომ უნდა გავაკეთო მომავალში.* აქ გვაქვს ნაწილობრივი სუპლეცია და ზმნა *არ ვიცი / არცოდნა* წარმოდგენილია განსხვავებული ფორმით: გაშლილია საფეთქელთან მიდებული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ და ქვევით მოძრაობს.



უარყოფითი ეპისტემურ-დეონტური – არ ვიცოდი რომ უნდა გამეკეთებინა

ბოლო ორი ფოტო ასახავს კავშირებითი კილოს ნიშნებს, რაც, ფაქტობრივად, არის მოდალობის მარკერები ენაში (იხ. თავი „დრო, ასპექტი და კილო ქართულ ჟესტურ ენაში“).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჟესტურ ენას წარმატებით შეუძლია ყველა ტიპის მოდალური კონსტრუქციის გადმოცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Boeder Winfried (access 2017) Mood in Modern Georgian. Oldenburg. p. 603-632
- Brito, Lucinda Ferreiro. 1990. Epistemic, alethic, and deontic modalities in a Brazilian Sign Language. In Susan D. Fisher & Patricia Siple (eds.), Theorietical Issues in Sign Language Research. Vol 1: Linguistics, 229-259. Chicago & London: The University of Chicago Press.
- Chien-hung Lin & Jung-hsing Chang. Modality in Taiwan Sign Language. The 2009 International Conference on Role and Reference Grammar, University of California, Berkeley, California, August 7-9, 2009 http://wings.buffalo.edu/linguistics/people/faculty/vanvalin/rrg/RRG09/Lin%20&%20Chang%20Modality%20in%20Taiwan%20Sign%20Language%20.pdf Access 2016 15.10.
- Ethnologue of the world's languages. The 13th edition of the Summer Institute of Linguistics. 1996. http://www.ethnologue.com/13/special.html
